



შპს ვონდერნეტ ექსპრეს ინვესტმენტ გრუფი

ფინანსური ანგარიშგება, მმართველობის ანგარიში და
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნები

2024 წელი



სარჩევი

ფინანსური ანგარიშგება	3
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	4
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	7
სრული შემოსავლის ანგარიშგება	8
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება.....	9
საკუთარ კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება.....	10
ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები.....	11
1. კომპანია და მისი საქმიანობა	11
2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვა	11
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები, და გამოყენებული განსჯა	19
4. ძირითადი საშუალებები	21
5. აქტივის გამოყენების უფლება და საიჯარო ვალდებულება	21
6. დეპოზიტი სესხების უზრუნველსაყოფად	22
7. არამატერიალური აქტივები	22
8. სასაქონლო მატერიალური ფასეულობები	22
9. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	22
10. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	22
11. სესხები	23
12. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	23
14. თანამშრომელთა სარგებელი	23
15. მომსახურების მიწოდებასთან დაკავშირებული სხვა ხარჯები	24
16. ოფისის და კომუნალური ხარჯები	24
17. ფინანსური შემოსავალი (ხარჯი)	24
18. ფინანსური რისკის მართვა	24
19. ფინანსური ინსტრუმენტების წარდგენა შეფასების კატეგორიების მიხედვით	27
20. ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულება	27
21. გაუთვალისწინებელი მოვლენები და ვალდებულებები	28
22. ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან	28
23. ბალანსის შედგენის თარიღის შემდეგ მომხდარი მოვლენები	29
მმართველობის ანგარიში	i

შპს ვონდერნეტ ექსპრეს ინვესტმენტ გრუპი

ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
და ამ თარიღით დამთავრებული წლისთვის
და მასზე გაცემული დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „ვონდერნეტ ექსპრეს ინვესტმენტ გრუპი“-ს დამფუძნებლებს:

დასკვნა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

მოსაზრება

ჩვენ განვახორციელეთ შპს „ვონდერნეტ ექსპრეს ინვესტმენტ გრუპი“-ს (შემდგომში, „კომპანია“) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლისა, საკუთარი კაპიტალის ცვლილებებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებათაგან, ასევე - ახსნა-განმარტებითი შენიშვნებისაგან, რომელიც შეიცავს მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვასა და სხვა ახსნა-განმარტებით ინფორმაციას.

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე, მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (შემდგომში ტექსტში ასს-ები) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ - ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებელი ვართ კომპანიისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესს) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსისა და იმ ეთიკური ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს საქართველოში; გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებით და ბესს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია კომპანიის ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს კომპანიის მიერ 2025 წლის 22 მაისით დათარიღებულ მმართველობის ანგარიშს (საქმიანობის მიმოხილვას), რომელიც აკინძულია წინამდებარე აუდიტის დასკვნასა და ფინანსურ ანგარიშგებათა ერთად (იხილეთ გვ. i-vi), მაგრამ არ მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებასა და ჩვენს მიერ მასზე გაცემულ აუდიტორის დასკვნას.

ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოთ აღნიშნულ სხვა ინფორმაციას, და გარდა ქვემოთ - „დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელი მოთხოვნები“ - ნაწილში გაცემული დასკვნისა არანაირი ფორმის მარწმუნებელ დასკვნას არ წარმოვადგენთ მასზე.

გარდა ქვემოთ - „დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელი მოთხოვნები“ - ნაწილში აღწერილი საკანონმდებლო მოთხოვნისა, ჩვენს მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავცნოთ ზემოთაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად შესაბამისი ფინანსურ ანგარიშგებასთან, ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან, სხვა მხრივ, ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია.

თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემო აღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვვალდება ამ ფაქტის ინფორმირება. ამასთან დაკავშირებით, ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ისეთი ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც უტყუარად და სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად, ასევე, შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არ აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები, შეიძლება, გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომებით გამოწვეულ ფინანსურ ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა, შეიძლება, გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის უგულებელყოფას.
- ჩვენ შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერისი შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული საადრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული საადრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება, ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით, შეიძლება, კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე, აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.


ამასთან, მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს გადავცემთ დოკუმენტს, სადაც ვადასტურებთ, რომ დავიცავით დამოუკიდებლობასთან დაკავშირებული შესაფერისი ეთიკური ნორმები და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს ვაცნობთ ყველა ურთიერთობისა და სხვა საკითხების შესახებ, რომლებიც, გონივრულ ფარგლებში, შეიძლება, მიჩნეულიყო, რომ დაკავშირებულია ჩვენს დამოუკიდებლობასთან, ასევე, შესაბამისი დამცავი ზომების შესახებ, აუცილებლობის შემთხვევაში.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ჩვენთვის წარდგენილ თანდართულ (იხილეთ გვ. i-vi) მმართველობის ანგარიშზე (საქმიანობის მიმოხილვა) საქართველოს კანონით „ბუღალტრული აღრიცხვისა, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ შესაბამისად (შემდგომში ტექსტში - კანონი). კანონის მე-7 მუხლის შესაბამისად, ჩვენი პასუხისმგებლობაა ჩატარებული პროცედურების საფუძველზე, გამოვთქვით მოსაზრება საქმიანობის მიმოხილვის ანგარიშის ამ კანონის მე-7 მუხლთან შესაბამისობაზე.

ჩვენი აზრით მმართველობით ანგარიშგების (საქმიანობის მიმოხილვის) კანონით განსაზღვრული ნაწილები, კომპანიის საქმიანობის მოცულობისა და სირთულის გათვალისწინებით, შესაბამეობა კანონის მე-7 მუხლის მოთხოვნებს, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით.

მოცემული აუდიტის, რომლის შედეგადაც შედგენილია წინამდებარე დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა, გარიგების პარტნიორია ბ-ნი ბესიკ ბისეიშვილი



ბესიკ ბისეიშვილი (აუდიტორის სარეგისტრაციო ნომერი SARAS-A-988241)

პარტნიორი

შპს ბეიკერ ტილი ჯორჯია

22 მაისი 2025 წელი

თბილისი, საქართველო

მზს „კონდენატ ექსპრეს ინვესტმენტ გრუპი“-ს ფინანსური ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(თანხები მოცემულია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	ა/გ	31-დეკ-2024	31-დეკ-2023
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	4	43,113,521	44,068,226
აქტივების გამოყენების უფლება	5	7,092,823	7,529,304
დეპოზიტი სესხების უზრუნველსაყოფად	6	-	3,446,097
არამატერიალური აქტივები	7	432,761	6,541
სულ გრძელვადიანი აქტივები		50,639,105	55,050,168
მოკლევადიანი აქტივები			
სასაქონლო მატერიალური ფასეულობები	8	1,756,196	1,902,166
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	9	551,657	6,314,680
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	10	2,237,875	3,400,714
სულ მოკლევადიანი აქტივები		4,545,728	11,617,560
სულ აქტივები		55,184,833	66,667,728
ვალდებულებები და კაპიტალი			
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		27,047,816	27,047,816
გაუნაწილებელი მოგება/(ზარალი)		14,235,780	16,705,072
სულ საკუთარი კაპიტალი		41,283,596	43,752,888
გრძელვადიანი ვალდებულებები			
საიჯარო ვალდებულება	5	9,235,106	8,984,622
გრძელვადიანი სესხები	11	-	3,738,388
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		9,235,106	12,723,010
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	12	558,742	1,357,887
მიღებული ავანსები	13	2,950,275	3,000,789
გრძელვადიანი იჯარის მიმდინარე ნაწილი	5	141,721	125,986
გრძელვადიანი სესხის მიმდინარე ნაწილი	11	1,009,506	5,651,074
გადასახდელი პროცენტი	11	5,887	56,094
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		4,666,131	10,191,830
სულ ვალდებულებები		13,901,237	22,914,840
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი		55,184,833	66,667,728

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარსადგენად დამტკიცებულია და ხელმოწერილ იქნა 2025 წლის 22 მაისი

გენერალური დირექტორი
ბ-ნი მამუკა მურგიცნელი



ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	ა/ბ	31-დეკ-2024	31-დეკ-2023
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	4	43,113,521	44,068,226
აქტივების გამოყენების უფლება	5	7,092,823	7,529,304
დეპოზიტი სესხების უზრუნველსაყოფად	6	-	3,446,097
არამატერიალური აქტივები	7	432,761	6,541
სულ გრძელვადიანი აქტივები		50,639,105	55,050,168
მოკლევადიანი აქტივები			
სასაქონლო მატერიალური ფასეულობები	8	1,756,196	1,902,166
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	9	551,657	6,314,680
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	10	2,237,875	3,400,714
სულ მოკლევადიანი აქტივები		4,545,728	11,617,560
სულ აქტივები		55,184,833	66,667,728
ვალდებულებები და კაპიტალი			
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		27,047,816	27,047,816
გაუნაწილებელი მოგება/(ზარალი)		14,235,780	16,705,072
სულ საკუთარი კაპიტალი		41,283,596	43,752,888
გრძელვადიანი ვალდებულებები			
საიჯარო ვალდებულება	5	9,235,106	8,984,622
გრძელვადიანი სესხები	11	-	3,738,388
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		9,235,106	12,723,010
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	12	558,742	1,357,887
მიღებული ავანსები	13	2,950,275	3,000,789
გრძელვადიანი იჯარის მიმდინარე ნაწილი	5	141,721	125,986
გრძელვადიანი სესხის მიმდინარე ნაწილი	11	1,009,506	5,651,074
გადასახდელი პროცენტი	11	5,887	56,094
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		4,666,131	10,191,830
სულ ვალდებულებები		13,901,237	22,914,840
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი		55,184,833	66,667,728

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარსადგენად დამტკიცებულია და ხელმოწერილ იქნა 2025 წლის 22 მაისი

გენერალური დირექტორი
ბ-ნი მამუკა მურჯინელი

შპს „ვონდერნეტ ექსპრეს ინვესტმენტ გრუფი“-ს ფინანსური ანგარიშგება
 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისთვის
 (თანხები მოცემულია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

სრული შემოსავლის ანგარიშგება

	შენიშვნა	31.12.2024 დასრულებული წლისთვის	31.12.2023 დასრულებული წლისთვის
შემოსავალი		40,706,832	53,415,089
თანამშრომელთა სარგებელი	14	(10,570,345)	(10,309,147)
მომსახურების მიწოდებასთან დაკავშირებული სხვა ხარჯები	15	(5,778,070)	(6,762,814)
ცვეთა და ამორტიზაცია		(3,797,234)	(3,580,015)
დაზღვევის ხარჯი		(574,511)	(754,021)
ოფისის და კომუნალური ხარჯები	16	(437,643)	(406,796)
საგადასახადო ხარჯი		(522,263)	(455,961)
მოვლა-შენახვის ხარჯი		(398,585)	(439,980)
მივლინების ხარჯი		(601,138)	(725,840)
წარმომადგენლობითი ხარჯი		(228,700)	(247,065)
დაცვის ხარჯი		(214,220)	(246,398)
რეკლამის ხარჯი		(10,184)	(238,713)
საკონსულტაციო ხარჯი		(558,835)	(225,058)
იჯარის ხარჯი		(213,227)	(159,689)
საქველმოქმედო ხარჯი		(40,968)	(43,220)
სასპონსორო ხარჯი		(375,006)	(439,191)
საწევრო გადასახადი		(33,812)	(30,241)
სხვა ხარჯი		(50,447)	(52,438)
ფინანსური შემოსავალი/(ხარჯი)	17	(961,830)	(1,348,605)
საქურსო სხვაობით მიღებული წმინდა მოგება/(ზარალი)		(33,317)	68,313
არასაოპერაციო შემოსავალი/(ხარჯი)		(803,340)	169,640
წმინდა მოგება		14,503,157	27,187,850

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარსადგენად დამტკიცებულია და ხელმოწერილ იქნა 2025 წლის 22 მაისი

გენერალური დირექტორი
 ბ-ნი მამუკა მურგიკელი



შპს „კონდერნეტ ექსპრეს ინვესტმენტ გრუპი“-ს ფინანსური ანგარიშგება
 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისთვის
 (თანხები მოცემულია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

სრული შემოსავლის ანგარიშგება

	შენიშვნა	31.12.2024 დასრულებული წლისთვის	31.12.2023 დასრულებული წლისთვის
შემოსავალი		40,706,832	53,415,089
თანამშრომელთა სარგებელი	14	(10,570,345)	(10,309,147)
მომსახურების მიწოდებასთან დაკავშირებული სხვა ხარჯები	15	(5,778,070)	(6,762,814)
ცვეთა და ამორტიზაცია		(3,797,234)	(3,580,015)
დაზღვევის ხარჯი		(574,511)	(754,021)
ოფისის და კომუნალური ხარჯები	16	(437,643)	(406,796)
საგადასახადო ხარჯი		(522,263)	(455,961)
მოვლა-შენახვის ხარჯი		(398,585)	(439,980)
მივლინების ხარჯი		(601,138)	(725,840)
წარმომადგენლობითი ხარჯი		(228,700)	(247,065)
დაცვის ხარჯი		(214,220)	(246,398)
რეკლამის ხარჯი		(10,184)	(238,713)
საკონსულტაციო ხარჯი		(558,835)	(225,058)
იჯარის ხარჯი		(213,227)	(159,689)
საქველმოქმედო ხარჯი		(40,968)	(43,220)
სასპონსორო ხარჯი		(375,006)	(439,191)
საწევრო გადასახადი		(33,812)	(30,241)
სხვა ხარჯი		(50,447)	(52,438)
ფინანსური შემოსავალი/(ხარჯი)	17	(961,830)	(1,348,605)
საკურსო სხვაობით მიღებული წმინდა მოგება/(ზარალი)		(33,317)	68,313
არასაოპერაციო შემოსავალი/(ხარჯი)		(803,340)	169,640
წმინდა მოგება		14,503,157	27,187,850

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარსადგენად დამტკიცებულია და ხელმოწერილ იქნა 2025 წლის 22 მაისი

გენერალური დირექტორი
 ბ-ნი მამუკა მურგიკნელი

შპს „კონდერნეტ ექსპრეს ინვესტმენტ გრუპი“-ს ფინანსური ანგარიშგება
 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისთვის
 (თანხები მოცემულია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

	31.12.2024 დასრულებული წლისთვის	31.12.2023 დასრულებული წლისთვის
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან		
მომხმარებლებისგან მიღებული ფულადი სახსრები	49,539,437	53,775,315
მომწოდებლებისა და მომუშავეებისთვის გადახდილი ფულადი სახსრები, მათ შორის, გადახდილი გადასახადები	(24,424,814)	(26,718,157)
ოპერირებიდან დაგენერირებული ფულადი სახსრების ნეტო /(ოპერირებისათვის გამოყენებული ფულადი სახსრები ნეტო)	25,114,623	27,057,158
გადახდილი პროცენტი (სესხი)	(417,229)	(824,661)
გადახდილი პროცენტი (იჯარა)	(692,013)	(675,358)
მიღებული პროცენტი	99,652	173,961
საოპერაციო საქმიანობით წარმოქმნილი ნეტო ფულადი სახსრები/(საოპერაციო საქმიანობისათვის გადახდილი ფულადი სახსრები ნეტო)	24,105,033	25,731,100
ფულადი სახსრების ნაკადი საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შეძენა/მშენებლობა	(1,398,262)	(488,030)
არამატერიალური აქტივების შეძენა	(387,629)	(18,747)
გაცემული სესხი	(322,921)	(86,200)
გაცემული სესხის დაბრუნება	251,760	86,200
საინვესტიციო საქმიანობისთვის მიღებული ნეტო ფულადი სახსრები	(1,857,052)	(506,777)
ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან (5, 11)		
სესხის სახით მიღებული თანხები	2,862,842	11,481,327
საბანკო სესხის დაფარვა	(10,958,044)	(14,393,651)
დაკავშირებული მხარისგან მიღებული სესხის დაფარვა	-	(9,528,533)
იჯარის დაფარვა	(128,092)	(114,462)
გადახდილი დივიდენდი	(15,186,846)	(18,972,213)
საფინანსო საქმიანობით წარმოქმნილი/(საფინანსო საქმიანობისთვის გამოყენებული) ნეტო ფულადი სახსრები	(23,410,140)	(31,527,532)
ფულადი სახსრებისა და მისი ეკვივალენტების ნეტო ზრდა/(შემცირება)	(1,162,159)	(6,303,209)
ფულადი სახსრები და მისი ეკვივალენტები წლის დასაწყისში	3,400,714	9,863,769
უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებით გამოწვეული შედეგი ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე	(680)	(159,846)
ფულადი სახსრები და მისი ეკვივალენტები წლის ბოლოს	2,237,875	3,400,714

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარსადგენად დამტკიცებულია და ხელმოწერილი იქნა 2025 წლის 22 მაისი

გენერალური დირექტორი
 ბ-ნი მამუკა მურგიანელი

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

	31.12.2024 დასრულებული წლისთვის	31.12.2023 დასრულებული წლისთვის
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან		
მომხმარებლებისგან მიღებული ფულადი სახსრები	49,539,437	53,775,315
მომწოდებლებისა და მომუშავეებისთვის გადახდილი ფულადი სახსრები, მათ შორის, გადახდილი გადასახადები	(24,424,814)	(26,718,157)
ოპერირებიდან დაგენერირებული ფულადი სახსრების ნეტო / (ოპერირებისათვის გამოყენებული ფულადი სახსრები ნეტო)	25,114,623	27,057,158
გადახდილი პროცენტი (სესხი)	(417,229)	(824,661)
გადახდილი პროცენტი (იჯარა)	(692,013)	(675,358)
მიღებული პროცენტი	99,652	173,961
საოპერაციო საქმიანობით წარმოქმნილი ნეტო ფულადი სახსრები / (საოპერაციო საქმიანობისათვის გადახდილი ფულადი სახსრები ნეტო)	24,105,033	25,731,100
ფულადი სახსრების ნაკადი საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შეძენა/მშენებლობა	(1,398,262)	(488,030)
არამატერიალური აქტივების შეძენა	(387,629)	(18,747)
გაცემული სესხი	(322,921)	(86,200)
გაცემული სესხის დაბრუნება	251,760	86,200
საინვესტიციო საქმიანობისთვის მიღებული ნეტო ფულადი სახსრები	(1,857,052)	(506,777)
ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან (5, 11)		
სესხის სახით მიღებული თანხები	2,862,842	11,481,327
საბანკო სესხის დაფარვა	(10,958,044)	(14,393,651)
დაკავშირებული მხარისგან მიღებული სესხის დაფარვა	-	(9,528,533)
იჯარის დაფარვა	(128,092)	(114,462)
გადახდილი დივიდენდი	(15,186,846)	(18,972,213)
საფინანსო საქმიანობით წარმოქმნილი / (საფინანსო საქმიანობისთვის გამოყენებული) ნეტო ფულადი სახსრები	(23,410,140)	(31,527,532)
ფულადი სახსრებისა და მისი ეკვივალენტების ნეტო ზრდა / (შემცირება)	(1,162,159)	(6,303,209)
ფულადი სახსრები და მისი ეკვივალენტები წლის დასაწყისში	3,400,714	9,863,769
უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებით გამოწვეული შედეგი ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე	(680)	(159,846)
ფულადი სახსრები და მისი ეკვივალენტები წლის ბოლოს	2,237,875	3,400,714

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარსადგენად დამტკიცებულია და ხელმოწერილ იქნა 2025 წლის 22 მაისი

გენერალური დირექტორი
 ბ-ნი მამუკა მურჯინელი

საკუთარ კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება/(ზარალი)	სულ
ნაშთი 2023 წლის 01 იანვარი	27,047,816	9,651,308	36,699,124
2022 წლის სრული შემოსავალი	-	27,187,850	27,187,850
გაგემული დივიდენდი	-	(20,134,086)	(20,134,086)
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბერს	27,047,816	16,705,072	43,752,888
2024 წლის სრული შემოსავალი	-	14,503,157	14,503,157
გაგემული დივიდენდი	-	(16,972,449)	(16,972,449)
ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბერს	27,047,816	14,235,780	41,283,596

გენერალური დირექტორი
ბ-ნი მამუკა მურჯიკნელი



შპს „კონდერნეტ ექსპრეს ინვესტმენტ გრუპი“-ს ფინანსური ანგარიშგება
 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისთვის
 (თანხები მოცემულია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

საკუთარ კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება/(ზარალი)	სულ
ნაშთი 2023 წლის 01 იანვარი	27,047,816	9,651,308	36,699,124
2022 წლის სრული შემოსავალი	-	27,187,850	27,187,850
გაცემული დივიდენდი	-	(20,134,086)	(20,134,086)
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბერს	27,047,816	16,705,072	43,752,888
2024 წლის სრული შემოსავალი	-	14,503,157	14,503,157
გაცემული დივიდენდი	-	(16,972,449)	(16,972,449)
ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბერს	27,047,816	14,235,780	41,283,596

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარსადგენად დამტკიცებულია და ხელმოწერილ იქნა 2025 წლის 22 მაისი

გენერალური დირექტორი
 ბ-ნი მამუკა მურჯიკნელი

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

1. კომპანია და მისი საქმიანობა

შპს ვონდერნეტ ექსპრეს ინვესტმენტ გრუფი-ისთვის („კომპანია“), ეს ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების, შესაბამისად 2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის.

შპს ვონდერნეტ ექსპრეს ინვესტმენტ გრუფი (კომპანია) არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომელიც დაფუძნებულია და მდებარეობს საქართველოში. კომპანიის რეგისტრირებული ოფისი მდებარეობს საქართველო, თბილისი, №4, ბესიკის ქუჩაზე, ხოლო საქმიანობის ადგილი ბათუმის პორტია.

კომპანიის ძირითადი საქმიანობაა ბათუმის პორტის ტერიტორიაზე მინერალური სასუქების გადაზიდვისა და შენახვის სერვისების მიწოდება.

2024 წლის 31 დეკემბრის და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის მესაკუთრეთა სტრუქტურა შემდეგნაირია:

მფლობელები	31-დეკ-2024	31-დეკ-2023
შპს „ადია“ (საქართველო)	55%	55%
შპს „კოვალენტი“ (საქართველო)	15%	15%
Trammo Inc (აშშ)	30%	30%

კომპანიის საბოლოო მაკონტროლებელი პირი არის, საქართველოს მოქალაქე, ბატონი დიმიტრი აბდუშელიშვილი.

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვა

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა ცალკეული ფინანსური ანგარიშგების ელემენტების მიხედვით მოცემულია ქვემოთ:

2.1 მომზადების საფუძველი.

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) შესაბამისად, უწყვეტი ფუნქციონირების პრინციპისა და ისტორიული ღირებულების მეთოდის გამოყენებით. ქვემოთ არის წარმოდგენილი ის ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა, რომელიც გამოყენებულ იქნა წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად. სააღრიცხვო პოლიტიკა თანმიმდევრულად არის გამოყენებული ყველა წარმოდგენილი პერიოდის მიმართ.

2.2 წარსადგენი ვალუტა.

ერთეულის სამუშაო ვალუტა არის ის ვალუტა, რომელიც გამოიყენება იმ ძირითად ეკონომიკურ გარემოში, რომელშიც საწარმო ფუნქციონირებს. კომპანიის სამუშაო ვალუტა არის საქართველოს ეროვნული ვალუტა (“ქართული ლარი”).

ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება კომპანიის სამუშაო ვალუტაში საანგარიშგებო პერიოდის შესაბამის დასასრულს არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობებით განპირობებული შემოსულობა ან ზარალი - რომელიც წარმოიშვა ოპერაციების განხორციელებისა და ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების კომპანიის სამუშაო ვალუტაში გადაანგარიშების შედეგად, წლის ბოლოს სებ-ის ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით, - აღიარდება მოგებაში, ან ზარალში, როგორც ფინანსური შემოსავალი, ან ხარჯი.

ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსები, რომელიც განისაზღვრა საქართველოს ბანკთაშორის ოპერაციების შედეგად, აშშ დოლართან და ევროსთან მიმართებაში იყო შემდეგი:

	აშშ დოლარი	ევრო
2024 წლის 31 დეკემბერი	2.8068	2.9306
2023 წლის 31 დეკემბერი	2.6894	2.9753

2.3 ძირითადი საშუალებები.

ძირითადი საშუალებები წარდგენილია დაგროვილი ცვეთისა ან გაუფასურების ღირებულებით შემცირებული ისტორიული თვითღირებულებით. თვითღირებულება განისაზღვრება შესყიდვის ფასით, იმპორტთან დაკავშირებული გადასახადებით, გამოუქვითავი გადასახადებითა და სხვა პირდაპირი ხარჯებით. როცა ძირითადი საშუალებების ჯგუფი შეიცავს სხვადასხვა კომპონენტებს, რომლებსაც გააჩნიათ სხვადასხვა სარგებლობის ვადები, ისინი აღირიცხებიან ცალ-ცალკე, როგორც ძირითადი საშუალებების ცალკეული კომპონენტები.

ძირითადი საშუალება, რომელიც გამოიყენება ძირითადი საქმიანობისთვის, ადმინისტრაციული ან გაქირავებისთვის, ან არის მშენებარე მდგომარეობაში, აღრიცხულია მისი თვითღირებულებასა და გაუფასურების ღირებულებას შორის სხვაობით. თვითღირებულება შეიცავს პირდაპირ ხარჯებს, რომელიც გათვალისწინებულია ჯგუფის სააღრიცხვო პოლიტიკით. სესხებთან დაკავშირებული ხარჯები კაპიტალიზირდება აქტივის ღირებულებაზე ჯგუფის პოლიტიკით.

**შპს „კონდერნეტ ექსპრეს ინვესტმენტ გრუპი“-ს ფინანსური ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისთვის
(თანხები მოცემულია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)**

მოგება ან ზარალი, რომელიც წარმოიშობა აქტივის გაყიდვიდან ან ჩამოწერიდან, განისაზღვრება სხვაობით, მიღებული სარგებელსა და საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

ხარჯები, დაკავშირებული ძირითადი საშუალებების კომპონენტების ჩანაცვლებასთან და აღრიცხული დამოუკიდებლად, კაპიტალიზირდება იმ კომპონენტის საბალანსო ღირებულებასთან ერთად, რომელიც ჩამოწერილ იქნა. სხვა დანახარჯები კაპიტალიზირდება იმ შემთხვევაში, თუ შესაძლებელია ეკონომიკური სარგებლის მიღება მომავალში. ყველა სხვა ხარჯი, მათ შორის შეკეთება-განახლება, აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში მისი მოხდენისთანავე.

ცვეთის დარიცხვა ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში წრფივი მეთოდის საშუალებით, თითოეული აქტივის სასიცოცხლო პერიოდის შეფასების საფუძველზე. ცვეთის დარიცხვა იწყება მას მერე, რაც აქტივი შედის გამოყენებაში. აქტივების სასიცოცხლო პერიოდი შემდეგნაირად ნაწილდება:

	სასარგებლო მომსახურების ვადები
შენობა-ნაგებობები	10-20
ტერმინალის აღჭურვილობა	5-15
სატრანსპორტო საშუალებები	5-20
ოფისის ავეჯი და ინვენტარი	5
სხვა	5

2.4 არამატერიალური აქტივები.

არამატერიალური აქტივები, რომლებსაც სასარგებლო გამოყენების სასრული ვადა აქვთ, აღირიცხება თვითღირებულებით, რომელსაც აკლდება დაგროვილი ამორტიზაცია და დაგროვილი გაუფასურების ზარალი. ამორტიზაცია გამოითვლება დარიცხვის წრფივი მეთოდით მათი სასარგებლო მომსახურების ვადების შესაბამისად. სასარგებლო გამოყენების სავარაუდო ვადა და ამორტიზაციის მეთოდი გადაიხედება ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს და ნებისმიერი შეტანილი ცვლილების უფექტი აღირიცხება პერსპექტიულად. კომპანიის არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადა არის 5 ლამდე.

2.5 იჯარა

2018 წლის 14 დეკემბერს კომპანიამ გააფორმა მიწის იჯარის ხელშეკრულება შპს „ბათუმის საზღვაო ნავსადგურთან“ საწყობების და სატრანსპორტო ტერმინალის მშენებლობისა და ექსპლუატაციის მიზნით. ეს განვითარებები დასრულდა 2021 წელს. იჯარის ხელშეკრულება არის 10 (პლუს 10) წლის ვადით განვითარების დასრულებიდან. კომპანიას აქვს შეუქცევადი უფლება გააგრძელოს იჯარის ვადა პირველი ათი წლის ვადის გასვლის შემდეგ. შპს „ბათუმის საზღვაო ნავსადგურს“ უფლება აქვს მოითხოვოს საიჯარო გადასახადების გაზრდა ინფლაციის მიხედვით, მაგრამ არაუმეტეს თავდაპირველად შეთანხმებული თანხის 15 პროცენტისა.

მენეჯმენტი თვლის, რომ გამოიყენებს იჯარის ხელშეკრულების გაგრძელების შეუქცევად ვარიანტს და ამიტომ შეაფასა იჯარის მოქმედების ვადა 20 წლით.

უძრავი ქონებასთან დაკავშირებულ იჯარების შემთხვევაში, როდესაც კომპანია წარმოადგენს მოიჯარეს, არ ხორციელდება საიჯარო და არა-საიჯარო კომპონენტების გამოყოფა და სრულად განიხილება როგორც ერთიანი იჯარის კომპონენტი.

იჯარის პირობები ყოველი ცალკეული კონტრაქტისათვის ინდივიდუალური მოლაპარაკებების საგანია. ეს შეთანხმებები არ მოიცავენ რაიმე შემზღუდველ პირობებს (კოვენანტებს) გარდა იჯარით აღებული აქტივების უსაფრთხოებისა. აგრეთვე, დაუშვებელია მათი გამოყენება სასესხო ვალდებულებების უზრუნველყოფის მიზნით.

იჯარები აღიარებულია როგორც გამოყენების უფლებით არსებული აქტივები და შესაბამისი ვალდებულებები.

იჯარიდან წარმოშობილი აქტივები და ვალდებულებები თავდაპირველად იზომება მიმდინარე ღირებულების საფუძველზე. საიჯარო ვალდებულებების წმინდა მიმდინარე ღირებულება მოიცავს (მათი არსებობის შემთხვევაში) შემდგომ სახდელებს:

- ფიქსირებული გადახდები (მათ შორის, არსებითად ფიქსირებული გადახდები), წამახალისებელი საიჯარო გადახდების გამოკლებით;
- ცვლადი საიჯარო გადახდები, რომლებიც დამოკიდებულია ინდექსზე ან განაკვეთზე და თავდაპირველად ფასდება იჯარის ვადის დაწყების თარიღის მდგომარეობით ამ ინდექსის ან განაკვეთის გამოყენებით;
- ნარჩენი ღირებულების გარანტიები, რომლებიც მეიჯარისთვის გარანტირებულია მოიჯარის მიერ, მოიჯარესთან დაკავშირებული მხარის მიერ, ან მეიჯარისგან დამოუკიდებელი ნებისმიერი მესამე მხარის მიერ, რომელსაც შეუძლია ამ საგარანტიო ვალდებულების ფინანსურად შესრულება;
- საიჯარო აქტივის შესყიდვის არჩევანის უფლების გამოყენების ფასი, თუ საკმარისად სარწმუნოა, რომ მოიჯარე ამ უფლებას გამოიყენებს; და
- იჯარის ვადამდე შეწყვეტისთვის გათვალისწინებული ჯარიმები, თუ იჯარის ვადა ასახავს მოიჯარის მიერ იჯარის ვადამდე შეწყვეტის უფლების გამოყენებას.

ვალდებულების გაზომვისას ასევე გაითვალისწინება ის გადახდები, რომლებიც განხორციელდება შესაბამისი ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადის გაგრძელების შემთხვევაში, როდესაც ამ უკანასკნელის ხდომილობა მართლზომიერად სარწმუნოა.

სახდელები დისკონტირდება იჯარაში განივთული საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. თუკი ამგვარი განაკვეთის დადგენა შეუძლებელია, როგორც ეს კომპანიის იჯარების უმრავლეს შემთხვევაშია, გამოიყენება მოიჯარის (კომპანიის) ზღვრული სასესხო განაკვეთი. ზღვრული სასესხო განაკვეთი წარმოადგენს საპროცენტო განაკვეთს, რომლის გადახდაც მსგავს ეკონომიკურ გარემოში მოუწევდა მოიჯარეს აქტივის გამოყენების უფლების ღირებულების მსგავსი ღირებულების აქტივის მოსაპოვებლად საჭირო სესხით სარგებლობისთვის, რომელსაც მსგავსი ვადა და უზრუნველყოფა ექნებოდა.

იჯარის სახდელები იყოფა ძირის დაფარვად და ფინანსურ ხარჯად. ფინანსური ხარჯი აღიარდება მოგება-ზარალში იჯარის მოქმედების განმავლობაში.

გამოყენების უფლებით არსებული აქტივები თავდაპირველად აღიარდება თვითღირებულებით, რომელიც მოიცავს:

- საიჯარო ვალდებულების თავდაპირველ გაზომვას;
- იჯარის დაწყებამდე განხორციელებულ გადახდებს;
- სხვა რაიმე პირდაპირ დანახარჯებსა, და
- აღდგენასთან დაკავშირებულ ხარჯებს.

გამოყენების უფლებით არსებული აქტივები ამორტიზირდება წრფივი მეთოდით, სასიცოცხლო ვადასა და იჯარის ვადას შორის უმცირეს პერიოდზე. თუ კომპანიის მიერ აქტივის გამოსყიდვის, კონტრაქტით გათვალისწინებული, ოფციის გამოყენება მართლზომიერად სარწმუნოა, გამოყენების უფლებით არსებული შესაბამისი აქტივის ცვლის ვადად განისაზღვრება მისი სასიცოცხლო ვადა.

მცირეფასიანი აქტივების მოკლევადიან იჯარებთან დაკავშირებული სახდელები აისახება სრული შემოსავლების ანგარიშგებაში წრფივი მეთოდით. მოკლევადიანად განიხილება იჯარები, რომელთა ხანგრძლივობაც არ აღემატება 12 თვეს.

ცვლადი საიჯარო სახდელები

კომპანიის იჯარის ხელშეკრულებები არ მოიცავს ცვლად სახდელებს.

საიჯარო ურთიერთობების გახანგრძლივებისა და შეწყვეტის უფლებები

იჯარის ზოგიერთი ხელშეკრულება მოიცავს შეთანხმებულ გახანგრძლივებისა და შეწყვეტის უფლებებს. ეს დათქმები გამიზნულია აქტივების მართვის, კერძოდ მათი ოპერაციული მოქნილობის მაქსიმიზაციისაკენ. ამგვარი უფლებების უმრავლესობა წარმოადგენს ჯგუფის ექსკლუზიურ პრეროგატივას.

იჯარის ვადის განსაზღვრა

იჯარის ვადის განსაზღვრისას, ხელმძღვანელობა ითვალისწინებს ყველა გარემოებას, რომელიც ბადებს ეკონომიკურ მოტივაციას გახანგრძლივდეს არსებული ურთიერთობა ანდა არ იქნას გამოყენებული შეწყვეტის უფლება. არღიცხულ იჯარის ვადებში გახანგრძლივებისა და შეწყვეტის ვადები (პერიოდები) გაითვალისწინებ მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც მართლზომიერად სარწმუნოა ამ კონტრაქტუალური უფლებების გამოყენება.

საიჯარო ვადის გახანგრძლივებისა და შეწყვეტის უფლებების გათვალისწინებამ, მიმდინარე ფინანსურ წელს, გამოიწვია საიჯაროს ვალდებულებებისა და გამოყენების უფლებით არსებული აქტივების გაზრდა 880 ლარის ოდენობით.

2.6 სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები.

მარაგების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. მარაგის თვითღირებულება მოიცავს შეძენის და სხვა ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია მარაგების ტრანსპორტირებასა და დასაწყობებასთან. მარაგების თვითღირებულება მცირდება მიღებული ფასდაკლებით. მარაგების შეძენის დანახარჯები მოიცავს მათი შეძენის ფასს, საიმპორტო საბაჟო გადასახადს და სხვა გადასახადებს (გარდა იმ გადასახადებისა, რომლებიც საგადასახადო ორგანოებმა კომპანიას უნდა დაუბრუნოს), სატრანსპორტო, დატვირთვა-გადმოტვირთვის დანახარჯებს და, საერთოდ, იმ დანახარჯებს, რომლებიც უშუალოდ არის დაკავშირებული მზა პროდუქციის, ნედლეულის, მასალებისა და მომსახურების შეძენასთან. სხვადასხვა სახის ფასდათმობები არ ჩაირთვება შეძენის დანახარჯების გაანგარიშებებში. მარაგების თვითღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი მეთოდით. ნეტო სარეალიზაციო ღირებულება არის ჩვეულებრივი სამეურნეო პროცესისათვის შეფასებითი გასაყიდი ფასი, პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისათვის საჭირო შეფასებითი დანახარჯების გამოკლებით.

2.7 ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური ინსტრუმენტი არის ნებისმიერი ხელშეკრულება, რომელიც ერთი საწარმოსთვის წარმოშობს ფინანსურ აქტივს, ხოლო მეორესთვის - ფინანსურ ვალდებულებას ან წილობრივ ინსტრუმენტს.

ფინანსური აქტივები თავდაპირველი აღიარება და შეფასება

თავდაპირველი აღიარებისას ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება როგორც შემდგომში შეფასებული ამორტიზებული ღირებულებით, სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით და სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით.

ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია თავდაპირველი აღიარებისას დამოკიდებულია ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მახასიათებლებზე და მათ სამართავად ჯგუფის ბიზნეს მოდელზე. სავაჭრო დებიტორული დავალიანების გარდა, რომელიც არ მოიცავს მნიშვნელოვან ფინანსურ კომპონენტს ან რომლისთვისაც ჯგუფი პრაქტიკულ გამოცდილებას იყენებს, ჯგუფი ფინანსურ აქტივებს თავდაპირველად აფასებს მისი სამართლიანი ღირებულებით, რასაც ემატება გარიგების დანახარჯები იმ შემთხვევაში, თუ ფინანსური აქტივი არ არის სამართლიანი ღირებულებით შეფასებული მოგებაში ან ზარალში ასახვით. სავაჭრო მოთხოვნა, რომლებიც არ შეიცავს დაფინანსების მნიშვნელოვან კომპონენტს, ან რომლისთვისაც ჯგუფმა პრაქტიკულ გამოცდილებას მიმართა, ფასდება ფასს 15-ით („შემოსავლები მომხმარებელთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან“) განსაზღვრული გარიგების ფასით.

იმისათვის, რომ მოხდეს ფინანსური აქტივის კლასიფიცირება და მოხდეს მისი შეფასება ამორტიზებული ღირებულებით ან სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, იგი უნდა წარმოქმნიდეს ფულად ნაკადებს, რომლებიც წარმოადგენს „მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდებს“ (SPPI) დაუფარავ ძირითად თანხაზე. ამ შეფასებას ეწოდება SPPI-ტესტირება, რომელიც ინსტრუმენტის ღონეზე სრულდება.

ჯგუფის ფინანსური აქტივების მართვის ბიზნესის მოდელი ეხება იმას, თუ როგორ მართავს ის თავის ფინანსურ აქტივებს ფულადი ნაკადების მისაღებად. ბიზნესმოდელი განსაზღვრავს, მიიღება თუ არა ფულადი ნაკადები სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ამოღების, ფინანსური აქტივების გაყიდვის ან ორივეს შედეგად.

ფინანსური აქტივების ყოველგვარი ყიდვა-გაყიდვა ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში აღიარებულია გარიგების თარიღით, ანუ იმ თარიღით, როდესაც ჯგუფმა აქტივის შესყიდვის ან გაყიდვის ვალდებულება იკისრა. ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში ყიდვა-გაყიდვა ნიშნავს ფინანსური აქტივების ისეთ ყიდვა-გაყიდვას, რაც მოითხოვს აქტივების გადაცემას კანონმდებლობით ან საბაზრო პრაქტიკით განსაზღვრულ ვადაში.

2.8 შემდგომი შეფასება

შემდგომი შეფასების მიზნებისთვის ფინანსური აქტივები ოთხ კატეგორიად იყოფა:

- ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები
- სხვა სრულ შემოსავალში ასახვით რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები კუმულატიური (დაგროვებითი) შემოსულობისა და ზარალის ხელახალი კლასიფიკაციით (სასესხო ინსტრუმენტები);
- რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, აღიარების შეწყვეტისას, კუმულატიური (დაგროვებითი) შემოსულობისა და ზარალის ხელახალი კლასიფიკაციის გარეშე;
- რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები მოგებასა და ზარალში ასახვით.

2.9 ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები

ეს კატეგორია ჯგუფისთვის ყველაზე აქტუალურია. ჯგუფი ფინანსურ აქტივებს ამორტიზებული ღირებულებით აფასებს თუ დაკმაყოფილებულია ქვემოთ მოცემული ორივე პირობა:

- ამ ბიზნესმოდელის მიხედვით ფინანსური აქტივი მფლობელობაშია სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ამოღების მიზნით; და
- ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტული თარიღებით წარმოქმნის ფულად ნაკადებს, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდებს დაუფარავ ძირითად თანხაზე.

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები შემდეგ ფასდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით და ის გაუფასურებას ექვემდებარება. შემოსულობისა და ზარალის აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში მაშინ, როდესაც წყდება აქტივის აღიარება, ან ხდება აქტივის მოდიფიცირება ან გაუფასურება.

ჯგუფის ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები მოიცავს სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს, გაცემულ სესხებს, საბანკო ანგარიშებს მოთხვნამდე.

2.10 ფინანსური აქტივების გაუფასურება

ჯგუფი აღიარებს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვს ყველა სასესხო ინსტრუმენტისთვის, რომლებსაც არ აღრიცხავს სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი ეფუძნება სხვაობას ხელშეკრულების საფუძველზე ვადადამდგარ სახელშეკრულებო ფულად ნაკადებსა და ყველა ფულად ნაკადს შორის, რომლის მიღებასაც მოელის ჯგუფი, თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მიახლოების დისკონტირებით. მოსალოდნელ ფულად ნაკადებში შედის ფულადი ნაკადები დასაკუთრებული უზრუნველყოფის საგნიდან ან სხვა საკრედიტო რისკის შემცირების საშუალებებიდან, რომლებიც ხელშეკრულების პირობების განუყოფელი ნაწილია.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი აღიარდება ორ ეტაპზე. კრედიტის ოდენობისთვის, რომელთან მიმართებაშიც თავდაპირველი აღიარების შემდეგ ადგილი არ ჰქონია საკრედიტო რისკის მნიშვნელოვან ზრდას. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი განისაზღვრება დეფოლტის მოვლენებით გამოწვეული საკრედიტო ზარალისთვის, რაც შესაძლებელია მომდევნო 12 თვის განმავლობაში (12 თვის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი) კრედიტის

ოდენობისთვის, რომელთან მიმართებაშიც თავდაპირველი აღიარების შემდეგ ადგილი ჰქონდა საკრედიტო რისკის მნიშვნელოვან ზრდას, მოთხოვნილია ზარალის რეზერვი საკრედიტო ზარალისთვის, რომელიც მოსალოდნელია დარჩენილ ვადაზე, გადაუხდელობის ვადის მიუხედავად (არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი).

სავაჭრო მოთხოვნებისათვის ჯგუფი იყენებს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გამოთვლის გამარტივებულ მეთოდს. შესაბამისად, ჯგუფი ნაცვლად საკრედიტო რისკების ცვლილებების აღრიცხვისა, აღიარებს ზარალის რეზერვს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ვადაზე, თითოეული საანგარიშგებო თარიღისთვის. ჯგუფმა შეადგინა რეზერვების მატრიცა, რომელიც ეყრდნობა საკრედიტო ზარალის წარსულ გამოცდილებას და დაკორექტირებულია დებიტორებისა და ეკონომიკური გარემოსთვის დამახასიათებელი პერსპექტიული ფაქტორების შესაბამისად.

საკრედიტო ინსტიტუტებში არსებული თანხებისთვის (ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები, საბანკო ანაბრები), ჯგუფი მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს ანგარიშობს 12 თვეში მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მეთოდის გამოყენებით. 12 თვეში მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი არის აქტივის არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ნაწილი, რომელიც იწვევს დეფოლტის შემთხვევებს ფინანსურ ინსტრუმენტზე და რომლებიც შესაძლოა დადგეს საანგარიშგებო თარიღიდან 12 თვის განმავლობაში. თუმცა, როდესაც წარმოშობის თარიღის შემდგომ ადგილი აქვს საკრედიტო რისკის მნიშვნელოვან ზრდას, რეზერვი დაეფუძნება არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მეთოდს.

ჯგუფი ფინანსურ აქტივს ვადაგადაცილებულად მიიჩნევს, როდესაც სახელმწიფოებზე გადახდები 180 დღით გვიანდება. თუმცა, გარკვეულ შემთხვევებში, ჯგუფმა შეიძლება ფინანსური აქტივი ვადაგადაცილებულად მაშინაც მიიჩნიოს, როდესაც შიდა ან გარე ინფორმაცია მიანიშნებს იმაზე, რომ ჯგუფი სავარაუდოდ სრულად ვერ მიიღებს დაუფარავ სახელმწიფოებზე თანხებს, ჯგუფის მფლობელობაში არსებული საკრედიტო რისკის შემცირების საშუალებების გათვალისწინების გარეშე. ფინანსური აქტივი ჩამოიწერება მაშინ, როდესაც არ არსებობს გონივრული მოლოდინი იმისა, რომ სახელმწიფოებზე ფულადი ნაკადების ამოღება მოხდება. ჩამოწერილი თანხების შემდგომი ამოღება მოგებაში ან ზარალში ამცირებს ფინანსური აქტივების გაუფასურების ხარჯს.

2.11 აღიარების შეწყვეტა

ფინანსური აქტივის (ან, სადაც მისაღებია, ფინანსური აქტივის ნაწილის ან ანალოგიური ფინანსური აქტივების ჯგუფის ნაწილის) აღიარების შეწყვეტა (ანუ ჯგუფის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებიდან ამოღება) უმეტესად ხდება შემდეგ შემთხვევებში:

- ამოიწერა აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლების ვადა, ან
- ჯგუფმა დათმო აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება, ან დაიტოვა ამგვარი უფლება, მაგრამ აიღო მესამე პირებისათვის მიღებული თანხების სრულად და დაგვიანების გარეშე გადახდის სახელმწიფოებზე ვალდებულება; ან ჯგუფმა გადასცა აქტივთან დაკავშირებული ყველა რისკი და სარგებელი; (ბ)ჯგუფმა არც გადასცა და არც დაიტოვა აქტივთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და სარგებელი, მაგრამ გადასცა აქტივზე კონტროლი.

თუ ჯგუფმა გადასცა აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება ან გააფორმა ამაზე ხელშეკრულება, იგი აფასებს, შეინარჩუნა თუ არა მან, ან რამდენად შეინარჩუნა ამ აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული რისკები და სარგებელი. თუ ჯგუფმა არც გადასცა და არც დაიტოვა აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და სარგებელი, და ასევე არ გადასცა აქტივზე კონტროლი, ჯგუფი აგრძელებს გადაცემული აქტივის აღიარებას ამ აქტივში მისი მონაწილეობის შენარჩუნების გამო. ასეთ შემთხვევაში ჯგუფი მასთან დაკავშირებულ ვალდებულებასაც აღიარებს. გადაცემული აქტივი და მასთან დაკავშირებული ვალდებულება ფასდება ჯგუფის მიერ დატოვებული უფლება-მოვალეობების საფუძველზე.

მონაწილეობის შენარჩუნება, რომელსაც აქვს გადაცემულ აქტივზე ერთგვარი თავდებობის ფორმა, აისახება აქტივის თავდაპირველ საბალანსო ღირებულებასა და ჯგუფის მიერ გადასახდელ მაქსიმალურ თანხას შორის უმცირესით.

2.12 ფინანსური ვალდებულებები - თავდაპირველი აღიარება

თავდაპირველი შეფასებისას ფინანსური ვალდებულებები ნაწილდება შემდეგ კატეგორიებში: სამართლიანი ღირებულებით შეფასებული და მოგებასა და ზარალში ასახული ფინანსური ვალდებულებები, სესხები, მოთხოვნები ან წარმოებული ვალდებულებები, რომლებიც განისაზღვრება ჰეჯირების ინსტრუმენტებად ეფექტური ჰეჯირების განხორციელების დროს.

ყველა ფინანსური ვალდებულების აღიარება თავდაპირველად ხდება რეალური ღირებულებით და სესხების და მოთხოვნების შემთხვევაში აკლდება მათთან უშუალოდ დაკავშირებული გარიგების დანახარჯები.

ჯგუფის ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სავაჭრო და სხვა ვალდებულებებსა და სესხებს.

2.13 ფინანსური ვალდებულებები - შემდგომი შეფასება

სავაჭრო ვალდებულებები და სესხები

თავდაპირველი აღიარების შემდეგ სესხების შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. შემოსულობის და ზარალის აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში ვალდებულების აღიარების შეწყვეტის შემთხვევაში, აგრეთვე ამორტიზაციის პროცესში ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

ამორტიზებული ღირებულება დაანგარიშდება შესყიდვის ყოველგვარი დისკონტის ან პრემიის, აგრეთვე იმ საზღაურის თუ დანახარჯების გათვალისწინებით, რომლებიც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის განუყოფელი ნაწილია. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით დარიცხული ცვთა აისახება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ფინანსურ საქმიანობაზე გაწეული დანახარჯების სახით. ეს კატეგორია, ზოგადად, სესხებს ეხება.

2.14 ფინანსური ვალდებულებები - აღიარების შეწყვეტა

ფინანსური ვალდებულებების აღიარება წყდება მაშინ, როდესაც ისინი იფარება, ბათილდება ან ამოიწურება.

როდესაც არსებული ფინანსური ვალდებულება ჩანაცვლება სხვა ვალდებულებით იმავე კრედიტორის წინაშე, რომელსაც არსებითად განსხვავებული პირობები აქვს ან თუ არსებული ვალდებულების პირობები არსებითად შეიცვლება, ასეთი ჩანაცვლება ან ცვლილება აღირიცხება, როგორც საწყისი ვალდებულების აღიარების შეწყვეტა და ახალი ვალდებულების აღიარება, ხოლო განსხვავება შესაბამის საბალანსო ღირებულებებს შორის აისახება ანგარიშგებაში.

2.15 ფინანსური ინსტრუმენტების ურთიერთჩათვლა

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ურთიერთჩათვლა მოხდება და წმინდა თანხა აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, თუ არსებობს აღიარებული თანხების ურთიერთგადაფარვის იურიდიული უფლება და ურთიერთჩათვლას ან ერთდროულად აქტივის რეალიზაციის და ვალდებულების დაფარვის სურვილი.

2.16 ამონაგები, შემოსავალი კლიენტებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან

შემოსავლები აღიარდება იმ შემთხვევაში, თუ ცალსახად შესაძლებელია ოპერაციის შედეგად ეკონომიკური სარგებლის მიღება და თანხობრივად ამ შემოსავლის საიმედოდ შეფასება. აღიარების მომენტი არ არის დამოკიდებული ეკონომიკური შემოსავლის ფაქტობრივად მიღების დროზე. შემოსავალი ფასდება მიღებული ან მისაღები შეთავაზების სამართლიანი ღირებულებით გადასახადების გარეშე. ამ პროცესში გაითვალისწინება გადახდის პირობები. კომპანია წარმოადგენს გამყიდველს და არა აგენტს ან მინდობილ პირს ყველა მის შემოსავლის მიმღებ ოპერაციაში, მას აქვს ფასდადების პროცესის კონტროლი და მასზე ზემოქმედებს ოპერაციის შედეგად წარმოშობილი კონტრაგენტის საკრედიტო რისკი.

საქონლის რეალიზაცია

საქონლის რეალიზაცია აღიარდება მაშინ, როდესაც საქონლის საკუთრებასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი რისკები და სარგებელი გადადის მყიდველზე, ზოგადად, ეს ფაქტი კომპანიის შემთხვევაში დგება საქონლის გადატვირთვასთან ერთად.

შემოსავლები მომსახურებიდან

გაყიდული მომსახურების აღიარდება იმ სააღრიცხვო პერიოდში, როდესაც გაწეულ იქნა მომსახურება დაუყოვნებელი აღიარების მეთოდის გამოყენებით. გაყიდვები ნაჩვენებია დღ-ს და ფასდათმობის გარეშე.

2.17 ხარჯების აღიარება

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს. ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ ხარჯებისგან ეკონომიკური სარგებლის მოტანა მომავალში აღარაა მოსალოდნელი ან თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

2.18 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები.

მომსახურების გაწევითა და საქონლის მიწოდების შედეგად წარმოშობილი სავაჭრო და სხვა მოთხოვნები აისახება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, გაუფასურების ზარალის გამოკლებით. იმ შემთხვევაში, თუ მათი ამოღებადობა ივარაუდება ერთ წლამდე ან ერთი წლის შემდგომ პერიოდში, მაშინ ისინი წარედგინება მოკლევადიან ან გრძელვადიან მოთხოვნებად, შესაბამისად.

2.19 სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

მომსახურების ან საქონლის შესყიდვის შედეგად წარმოშობილი სავაჭრო და სხვა დავალიანება აისახება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. იმ შემთხვევაში, თუ მათი გადახდა ივარაუდება ერთ წლამდე ან ერთი წლის შემდგომ პერიოდში, მაშინ ისინი წარედგინება მოკლევადიან ან გრძელვადიან ვალდებულებად, შესაბამისად.

2.20 ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ექვივალენტები.

ფულად სახსრებსა და ფულადი სახსრების ექვივალენტებში იგულისხმება ნაღდი ფული, ბანკში განთავსებული დეპოზიტები მოთხოვნამდე და სხვა მოკლევადიანი მაღალ-ლიკვიდური ინვესტიციები, რომელთა თავდაპირველი დაფარვის ვალა სამი თვე, ან უფრო ნაკლებია. ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ექვივალენტები აისახება ამორტიზებული

ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით. შეზღუდული ნაშთები გამოირიცხება ფულადი სახსრებისა და მათი ექვივალენტებისაგან ფულადი სახსრების ნაკადების ანგარიშგების მიზნებისათვის. ის ნათშთები, რომელთა შეზღუდვაც ხდება, რათა არ მოხდეს მათი გაცვლა, ან ვალდებულების დასაფარავად გამოყენება, საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ სულ მცირე თორმეტი თვის განმავლობაში აისახება სხვა გრძელვადიან აქტივებში.

2.21 სესხები

სესხები თავდაპირველად აღიარდება სამართლიანი ღირებულებით, ოპერაციის ხარჯების განეტიების საშუალებით. აღიარების შემდგომ ისინი წარდგენილია ამორტიზებული ღირებულებით. ნებისმიერი სხვაობა ფულად ნაკადებსა და დაფარვის ღირებულებას შორის აღიარდება სესხის მთელი პერიოდის განმავლობაში მოგება-ზარალის პერიოდში.

2.22 საწესდებო კაპიტალი.

კომპანიის საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება კომპანიის წესდებით. კომპანიის წესდებაში ცვლილებები (მათ შორის ცვლილებები საწესდებო კაპიტალში, მფლობელობაში, და სხვ.) უნდა შევიდეს მხოლოდ კომპანიის დამფუძნებლის გადაწყვეტილებით.

2.23 დაქირავებულ მომუშავეთა გასამრჯელოები.

ხელფასები, ბონუსები და არაფულადი სარგებელი აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი სერვისი მიიღო კომპანიამ დასაქმებულისგან.

2.24 ანარიცხები, პირობითი აქტივები და ვალდებულებები

პირობითი ვალდებულებები არ აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან, და შესაძლებელია ამ ვალდებულების საიმედოდ შეფასება. ფინანსურ ანგარიშგებაში არ აისახება პირობითი აქტივები. მაგრამ ისეთი ფინანსური აქტივების შესახებ ინფორმაცია, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა კომპანიაში შესაძლებელია - აისახება განმარტებით შენიშვნებში. იმ შემთხვევაში, თუ კომპანიას აქვს რწმუნება, რომ ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში, მაშინ მასთან დაკავშირებული აქტივი და შემოსავალი აისახება იმ პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში, როდესაც ადგილი ქონდა შეფასების ცვლილებას. ანარიცხი წარმოადგენს ვალდებულებას, რომელიც დაკავშირებულია რაოდენობრივ და დროით განუსაზღვრელობებთან. კომპანიაში ანარიცხი აღიარდება, როდესაც

- კომპანიას აქვს მიმდინარე მოვალეობა (იურიდიული ან კონსტრუქციული), რომელიც წარმოიქმნება წარსული მოვლენის შედეგად;
- სავარაუდოა, რომ მოვალეობის დასაფარად საჭირო იქნება ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსების გასვლა;
- შესაძლებელია მოვალეობის თანხის საიმედოდ შეფასება.

2.25 მოგების გადასახადი

2016 წლის მაისის თვეში საქართველოს პარლამენტმა შეცვალა ქვეყნის საგადასახადო კოდექსი: ცვლილებები ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან. გადასახადის გადამხდელების უმრავლესობას, მათ შორის, კომპანიასაც, არ მოუწევს მოგების გადასახადის გადახდა წლიურ მოგებაზე. მხოლოდ დივიდენდების განაწილება და სპეციფიკური ტრანზაქციები ექვემდებარება დასაბეგრ ბაზაში მოხვედრას. შესაბამისად, არ აქვს პერიოდის შედეგთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ხარჯი და გადავადებული მოგების გადასახადის ნაშთები.

2.26 არამონეტარული აქტივების გაუფასურება

ის არამონეტარული აქტივები რომელთაც არ აქვს განსაზღვრული ცხოვრების ხანგრძლივობა და ასევე ის აქტივები რომლებიც არიან მზად გამოყენებისათვის არ ერიცხება ცვლად ან ამორტიზაცია, ისინი ექვემდებარებიან გაუფასურების ყოველიურ ტესტირებას. ეს აქტივები რომლებიც ექვემდებარებიან ცვლას და ამორტიზაციას ექვემდებარებიან გაუფასურებაზე ტესტირებას, მაშინ როდესაც გარკვეული მოვლენა ან ნებისმიერი პირობის ცვლილება მიუნიშნებს რომ შესაძლებელია მისი საბალანსო ღირებულება ვერ იქნას ამოღებული. გაუფასურების ზარალი აღიარდება იმ სხვაობის ოდენობით რაც არსებობს შეფასებულ ამოღებად თანხასა და ნარჩენ საბალანსო ღირებულებას შორის. ამოღებადი თანხა წარმოადგენს უდიდეს თანხას გაყიდვის ხარჯებით შემცირებულ აქტივის სამართლიან ღირებულებასა და მისი გამოყენების ღირებულებას შორის. გაუფასურების ტესტირების მიზნით აქტივები ჯგუფდება უმცირესი ჯგუფის დონეზე რომლის დონეზეც იდენტიფიცირდება განცალკევებული ფულადი ნაკადები. ყოველ საანგარიშო პერიოდზე გაუფასურებული არაფინანსური აქტივები გარდა გუდვილისა მიმოიხილება გაუფასურების შეზღუდვის გაუქმების მიზნით.

2.27 ფინანსურ ანგარიშგებაში შესწორების შეტანა მისი წარდგენის შემდეგ.

ფინანსური ანგარიშგების წარდგენის შემდეგ მასში ნებისმიერი ცვლილების შეტანა, საჭიროებს კომპანიის იმ ხელმძღვანელობის მიერ ამ ცვლილებების დამტკიცებას, რომელთაც აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება წარსადგენად დამტკიცეს.

2.28 2024 წლის პირველი იანვრის შემდეგ ძალაში მყოფი ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და შესწორებები

ქვემოთ წარმოდგენილი შესწორებული სტანდარტები ძალაში შევიდა კომპანიისთვის 2024 წლის 1 იანვრიდან, თუმცა კომპანიაზე მნიშვნელოვანი გავლენა არ მოუხდენია:

ვალდებულებების კლასიფიკაცია მიმდინარედ ან გრძელვადიანად - შესწორებები ბასს 1-ში. ფინანსური პირობების (Covenants) მქონე გრძელვადიანი ვალდებულებები შესწორებები ბასს 1-ში. (ძალაშია 2024 წლის 1 იანვრიდან) ვალდებულებების კლასიფიკაცია მიმდინარედ ან გრძელვადიანად - შესწორებები ბასს 1-ში შევიდა 2020 და 2022 წელს. აღნიშნული შესწორებები განმარტავს, რომ ვალდებულებები კლასიფიცირებულია მიმდინარე ან არამიმდინარე ვალდებულებებად, რაც დამოკიდებულია ანგარიშგების პერიოდის ბოლოს არსებულ უფლებებზე. ვალდებულებები არამიმდინარეა იმ შემთხვევაში, თუ საწარმოს აქვს არსებითი უფლება, ანგარიშგების პერიოდის ბოლოს, გადაავადოს ანგარიშსწორება მინიმუმ თორმეტი თვით. ხელმძღვანელობის მოლოდინები ბალანსის შემდეგ თარიღებში (პირობების შესრულების განთავისუფლებასთან და პირობების დარღვევასთან დაკავშირებით) გავლენას არ ახდენს ვალდებულებების კლასიფიკაციაზე.

ფინანსური პირობები არ ახდენს ვალდებულების ვადიანობის მიხედვით კლასიფიკაციაზე თუ პირობების შესაბამისობის მოთხოვნა დგება ბალანსის შედგენის თარიღის შემდეგ პერიოდში. იმ შემთხვევაში კი როდესაც პირობებთან შესაბამისობა უნდა იყოს უზრუნველყოფილი ბალანსის თარიღისთვის ან უფრო ადრე მაშინ შესაბამისობა ახდენს მიმდინარე და გრძელვადიანი წარდგენის წარდგენის კლასიფიკაციაზე იმის მიუხედავად რომ შესაბამისობის ტესტირება მოხდება მხოლოდ ბალანსის შედგენის შემდეგ.

თუ საწარმო წარადგენს ვალდებულებას გრძელვადიანად და ფინანსური პირობების შესაბამისობა უნდა გაიტესტოს ბალანსის შედგენის შემდეგ 12 თვის პერიოდში მაშინ ცვლილება მოითხოვს ახსნა განმარტების წარდგენას. ახსნა განმარტება უნდა მოიცავდეს:

- ვალდებულების საბალანსო ღირებულებას;
- ფინანსური პირობების დეტალებს;
- ფინანსური პირობებთან შესაბამისობის უზრუნველყოფასთან დაკავშირებულ სირთულეების ამსახველ ფაქტებს და გარემოებებს, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

ცვლილება ასევე სპეციფიკურად განმარტავს ვალდებულების დაფარვის მცნებას, როდესაც მეორე მხარეს ოპციით აქვს უფლება დაფარვა მოხდეს კომპანიის საკუთარი წილობრივი ინსტრუმენტებით. ცვლილება უნდა იქნას გამოყენებული რეტროსპექტიულად ბასს 8 შესაბამისად. სპეციალური დანერგვის მინიშნებები არსებობს თუ კომპანია ადრე დანერგავს სტანდარტს.

საიჯარო ვალდებულება გაყიდვისა და უკუიჯარის პირობებში - ცვლილება ფასს 16 ში. (ძალაშია 2024 წლის 1 იანვრიდან). 2022 წლის სექტემბერში საბჭომ (IASB) მიიღო ცვლილება ფასს 16 იჯარებში ასახული გაყიდვასა და უკუიჯარის ოპერაციებთან დაკავშირებით. ცვლილება განმარტავს ოპერაციის თაღისათვის ოპერაციის ასახვის დეტალებს. ცვლილების განსაზღვრავ გამყიდველი მოიჯარე მიერ საიჯარო გადახდების განსაზღვრის დეტალებს.

მომწოდებლის ფინანსირების გარიგებები - ცვლილება ბასს 7 და ფასს 7 ში - (ძალაშია 2024 წლის 1 იანვრიდან). საბჭომ (IASB) გამოუშვა ახალი ახსნა განმარტებათა მოთხოვნებთან დაკავშირებული ცვლილება ბასს 7 და ფასს 7. ცვლილების მიზანია დამატებით ინფორმაციის წარდგენა ინვესტორებისათვის მომწოდებელთა ფინანსირების (SFA) გარიგებებთან დაკავშირებით. ახალი ახსნა განმარტებები მოითხოვს ინფორმაციას მომწოდებლების დაფინანსების პირობების შესახებ:

1. იმ ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულება და მათი წარდგენის დეტალები, რომლებიც დაკავშირებულია ან SFA ნაწილია.
2. ფინანსური ვალდებულების ნაწილი რომელზეც ფინანსურების უზრუნველყოფელმა მოახდინა გადახდა.
3. გადასახადელი თანხების ზღვარი და ვადიანობა რომელიც დაკავშირებულია SFA - სთან, და შესადარისი სავაჭრო ვალდებულება რომელიც ამ გარიგების ნაწილი არ არის.
4. შესაბამისი ფინანსური ვალდებულების ცვლილება, რომელიც დაკავშირებულია არაფულად ოპერაციებთან.
5. SFA წვდომა და ლიკვიდურობის რისკი შესაბამის ფინანსირების უზრუნველყოფებთან.

საბჭო ათავისუფლებს სუბიექტებს შესადარისი ინფორმაციის წარდგენის მოთხოვნისაგან პირველად დანერგვისას, განთავისუფლება ეხება საწყის ნაშთებსაც.

2.29 ახალი ან გადასინჯული სტანდარტების და ინტერპრეტაციები, რომლებიც ჯერ არ არის ეფექტური ან წინსწრებით დანერგილი

კომპანიამ ვადამდე არ მიიღო შესწორებები, რომელიც ძალაშია 2024 წლის 31 დეკემბრის შემდეგ და თვლის, რომ ისინი უმნიშვნელო გავლენას მოახდენენ, მიღების შემდეგ, კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ბასს 21-ის ცვლილებები - გაცვლის შეუძლებლობა (ძალაშია 2025 წლის 1 იანვრიდან). 2023 წლის აგვისტოში IASB-მა გააუმჯობესა ბასს 21 და დამატა მოთხოვნები, რომლებიც დაეხმარება სუბიექტებს, განსაზღვრონ, შესაძლებელია თუ არა, ვალუტის სხვა ვალუტაში გაცვლა და რა კურსი უნდა გამოიყენონ გაცვლის შეუძლებლობის შემთხვევაში. ამ ცვლილებამდე ბასს 21 ასახავდა გაცვლითი კურსის გამოყენებას მაშინ, როდესაც გაცვლა დროებით არ იყო შესაძლებელი, მაგრამ არ განიხილავდა იმ შემთხვევას, როდესაც გაცვლის პრობლემა მუდმივი იყო.

ფინანსური ინსტრუმენტების კლასიფიკაციისა და შეფასების ცვლილებები - ცვლილებები ფასს 9 და ფასს 7-ში (ძალაშია 2026 წლის 1 იანვრიდან). 2024 წლის 30 მაისს IASB-მა გამოუშვა ფასს 9-ისა და ფასს 7-ის ფინანსური ინსტრუმენტების მიზნობრივი ცვლილებები, რათა უპასუხოს პრაქტიკაში გაჩენილ ახალ შეკითხვებს და შეიტანოს ახალი

**მპს „კონდერნეტ ექსპრეს ინვესტმენტ გრუფი“-ს ფინანსური ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისთვის
(თანხები მოცემულია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)**

მოთხოვნები არა მხოლოდ ფინანსური ინსტიტუტებისთვის, არამედ კორპორაციული საწარმოებისათვის. ამ ცვლილებებში შედის:

- ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების აღიარებისა და გაუქმების თარიღების დაზუსტება ახალი გამონაკლისით, რომელიც შეეხება ელექტრონული სისტემის მეშვეობით გადახდილ ზოგიერთ ფინანსურ ვალდებულებას.
- დამატებითი განმარტება იმის შესახებ, თუ როგორ უნდა შეფასდეს, შეესაბამება თუ არა ფინანსური აქტივი ძირისა და პროცენტის კრიტერიუმებს.
- ახალი განმარტებითი შენიშვნების დამატება გარკვეული ინსტრუმენტებისათვის, რომლებიც შეიცავს ისეთ პირობებს, რომლებმაც შეიძლება შეცვალოს ფულადი ნაკადი (მაგალითად: ფინანსური ინსტრუმენტები, რომლებსაც აქვთ გარემოს, სოციალური და მართვის მიზნების მიღწევასთან დაკავშირებული მახასიათებლები).
- განმარტებითი შენიშვნების განახლება აქციების ინსტრუმენტებისათვის, რომლებიც აღიარებულია სამართლიანი ღირებულებით სხვა ყოვლისმომცველ შემოსავალში.

მეორე პუნქტში მოცემული განახლებები მეტწილად შეესაბამება ფინანსურ ინსტიტუტებს, ხოლო დანარჩენ პუნქტებში მოცემული ცვლილებები ყველა საწარმოსათვის რელევანტურია.

ფასს 9-ისა და ფასს-ის ცვლილებები ეფექტური იქნება წლიური ანგარიშგების პერიოდებისათვის და ძალაში შევა 2026 წლის 1 იანვრიდან ან მოგვიანებით.

ფასს 18, პრეზენტაცია და განმარტებითი შენიშვნები ფინანსურ ანგარიშგებაში (ძალაშია 2027 წლის 1 იანვრიდან). ახალი სტანდარტი ანაცვლებს ბასს 1-ს და ორიენტირებულია მოგება-ზარალის უწყისის განახლებებზე.

ფასს 18-ში წარდგენილი ძირითადი საკითხები ეხება:

- მოგება-ზარალის უწყისის სტრუქტურას
- მოგება-ზარალის უწყისში ხარჯების პრეზენტაციისათვის ყველაზე გამოსადეგი სტრუქტურის განსაზღვრას.
- საჭირო განმარტებით შენიშვნებს ფინანსურ ანგარიშგებაში, რომლებიც შეეხება გარკვეული მოგების ან დანაკარგის შესრულების ზომებს, რომლებიც წარმოდგენილია კორპორაციის ფინანსური ანგარიშგების გარეთ (მენეჯმენტით განსაზღვრული შესრულების ზომები).
- გაფართოებულ პრინციპებს აგრეგაციისა და დისაგრეგაციის შესახებ, რომლებიც ვრცელდება ძირითად ფინანსურ ანგარიშგებებზე.

ფასს 19-დედა კომპანიები საჯარო ანგარიშვალდებულების გარეშე (ძალაშია 2027 წლის 1 იანვრიდან). მოცემული ახალი სტანდარტი მუშაობს ფასს-ის სხვა სტანდარტებთან ერთად. შესაფერისი შვილობილი კომპანია ატარებს ანგარიშგების სტანდარტებში არსებულ ფასს-ის სხვა მოთხოვნებს, განმარტებითი შენიშვნების მოთხოვნების გარდა და იყენებს შემცირებულ განმარტებითი შენიშვნების მოთხოვნებს. ფასს 19 წარმოადგენს ნებაყოფლობით სტანდარტს შესაფერისი შვილობილი კომპანიებისათვის.

შვილობილი კომპანია შესაფერისია თუ:

- არ გააჩნია საჯარო ანგარიშვალდებულება.
- ჰყავს ძირითადი ან შუამავალი დედა კომპანია, რომელიც აწარმოებს ფასს-ის სტანდარტების შესაბამის საჯაროდ ხელმისაწვდომ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას.

3. მნიშვნელოვანი საადრიცხვო შეფასებები, და გამოყენებული განსჯა

ჯგუფი ახორციელებს შეფასებებსა და აკეთებს დაშვებებს, რომელიც ზეგავლენას მოახდენს ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებსა და აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებაზე მომდევნო ფინანსური წლის განმავლობაში. შეფასებები და მსჯელობა მუდმივად ფასდება და ემყარება კომპანიის ხელმძღვანელობის გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებს, მათ შორის მომავალში მოსალოდნელ მოვლენებს, რომელთა მოხდენის დაშვებაც გონივრულად არის მიჩნეული არსებული გარემოებების გათვალისწინებით. აღნიშნული შეფასებების გარდა კომპანიის ხელმძღვანელობა ასევე მიმართავს გარკვეულ განსჯას საადრიცხვო პოლიტიკის გამოყენების დროს. განსჯის შედეგად მიღებული გადაწყვეტილებები ყველაზე დიდ ზეგავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებზე და შეფასებებზე, რომელთაც შესაძლოა განაპირობონ აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულების მნიშვნელოვანი კორექტირება მომდევნო ფინანსური წლის განმავლობაში. ამგვარი გადაწყვეტილებებია:

3.1 ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადა. ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრა განსჯის საგანია, რომელიც უნდა ეყრდნობოდეს ანალოგიურ აქტივებთან მიმართებით არსებულ გამოცდილებას. აქტივებში განივთებული მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება ხდება უმთავრესად მათი გამოყენების მეშვეობით. თუმცა, სხვა ფაქტორები, როგორიცაა აქტივის ტექნიკური, ან კომერციული მოძველება და ცვეთა, ხშირად განაპირობებს აქტივებში განვითებული ეკონომიკური სარგებლის შემცირებას. კომპანიის ხელმძღვანელობა აქტივების დარჩენილი მომსახურების ვადას აფასებს მოცემული აქტივების არსებული ტექნიკური მდგომარეობისა და იმ

შეფასებული პერიოდის გათვალისწინებით, რომლის განმავლობაშიც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის მიღება კომპანიის მიერ. გაითვალისწინება შემდეგი ძირითადი ფაქტორები: (ა) აქტივების მოსალოდნელი გამოყენება; (ბ) მოსალოდნელი ფიზიკური ცვეთა, რაც დამოკიდებულია საოპერაციო ფაქტორებსა და ტექნიკური მომსახურების პროგრამაზე; და (გ) საბაზრო პირობებით განპირობებული ტექნიკური, ან კომერციული მოძველება.

3.3 გადასახადები. საქართველოს სამეწარმეო და საგადასახადო კანონმდებლობაში არსებობს ისეთი მუხლები, რომელთა ინტერპრეტაცია სხვადასხვაგვარადაა შესაძლებელი. ასევე არსებობს საგადასახადო ორგანოების მიერ სუბიექტური გადაწყვეტილებების მიღების პრაქტიკა. აქედან გამომდინარე, იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე კონკრეტული ქმედება, რომელიც ეფუძნება ხელმძღვანელობის მიერ კომპანიის ბიზნეს საქმიანობის თავისებურად განსჯას, არ იქნება მოწონებული საგადასახადო ორგანოების მიერ, კომპანიას შეიძლება დაერიცხოს დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და საურავები. კომპანიის ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ მათ გადაიხადეს საგადასახადო კანონით მოთხოვნილი გადასახადები და დამატებითი რეზერვების შექმნა ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის საჭირო. საგადასახადო ორგანოებს შეუძლიათ კომპანიის ბოლო სამი წლის მონაცემების შემოწმება.

3.4 საქმიანობის უწყვეტობა. ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია კომპანიის საქმიანობის უწყვეტობის საფუძველზე იმის დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. კომპანიის ხელმძღვანელობას და დამფუძნებლებს სურვილი აქვთ, განაგრძონ კომპანია საქართველოში. ხელმძღვანელობისთვის არ არის ცნობილი რაიმე განუსაზღვრელობა, რამაც შეიძლება საფრთხე შეუქმნას კომპანიის საქმიანობის უწყვეტობას. ხელმძღვანელობას სჯერა, რომ უწყვეტობის პრინციპის გამოყენება შესაფერისია კომპანიისათვის.

შპს „კონდერნეტ ექსპრეს ინვესტმენტ გრუპი“-ს ფინანსური ანგარიშგება
 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისთვის
 (თანხები მოცემულია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

4. ძირითადი საშუალებები

	დაუმთავრე ბული მშენებლობა	შენობა- ნაგებობები	ტერმინალი ს არქიტექტურული ობა	სატრანსპორტო საშუალებები	ოფისის ავეჯი და ინვენტარი	სხვა ძირითადი საშუალებები	სულ
ისტორიული ღირებულება 31.12.2021	-	27,693,091	12,595,718	8,830,091	221,513	16,464	49,356,877
დაგროვილი ცვეთა 31.12.2021	-	(676,143)	(568,315)	(339,541)	(38,457)	(2,936)	(1,625,392)
ნარჩენი ღირებულება 31.12.2021	-	27,016,948	12,027,403	8,490,550	183,056	13,528	47,731,485
შეძენა	356,152	70,004	539,345	6,444	96298	25,774	1,094,017
გასვლა	-	-	-	-	-	(353)	(353)
გასული აქტივების ცვეთა	-	-	-	-	-	66	66
ცვეთა	-	(1,015,312)	(867,250)	(527,609)	(51,913)	(5,828)	(2,467,912)
ნარჩენი ღირებულება 31.12.2022	356,152	26,071,640	11,699,498	7,969,385	227,441	33,187	46,357,303
ისტორიული ღირებულება 31.12.2022	356,152	27,763,095	13,135,063	8,836,535	317,811	41,885	50,450,541
დაგროვილი ცვეთა 31.12.2022	-	(1,691,455)	(1,435,565)	(867,150)	(90,370)	(8,698)	(4,093,238)
ნარჩენი ღირებულება 31.12.2022	356,152	26,071,640	11,699,498	7,969,385	227,441	33,187	46,357,303
შეძენა	209,037	23,514	221,798	273,915	98,225	46,629	873,118
გასვლა	-	-	(480)	(6,444)	(23,238)	(2,330)	(32,492)
გასული აქტივების ცვეთა	-	-	194	1,069	9,902	647	11,812
რეკლასიფიკაცია	(422,908)	-	422,908	-	-	-	-
ცვეთა	-	(1,459,849)	(1,023,527)	(570,557)	(73,789)	(13,793)	(3,141,515)
ნარჩენი ღირებულება 31.12.2023	142,281	24,635,305	11,320,391	7,667,368	238,541	64,340	44,068,226
ისტორიული ღირებულება 31.12.2023	142,281	27,786,609	13,779,289	9,104,006	392,798	86,184	51,291,167
დაგროვილი ცვეთა 31.12.2023	-	(3,151,304)	(2,458,898)	(1,436,638)	(154,257)	(21,844)	(7,222,941)
ნარჩენი ღირებულება 31.12.2023	142,281	24,635,305	11,320,391	7,667,368	238,541	64,340	44,068,226
შეძენა	-	255,520	2,367,993	362,889	84,174	252,817	3,323,392
გასვლა	-	-	(2,345)	(1,192,250)	(40,022)	(8,073)	(1,242,690)
გასული აქტივების ცვეთა	-	-	1,252	383,466	22,924	20,952	428,595
რეკლასიფიკაცია	-	-	-	-	-	-	-
ცვეთა	-	(1,476,201)	(1,210,882)	(532,202)	(88,552)	(156,164)	(3,464,002)
ნარჩენი ღირებულება 31.12.2024	142,281	23,414,623	12,476,409	6,689,271	217,065	173,872	43,113,521
ისტორიული ღირებულება 31.12.2024	142,281	28,042,129	16,144,936	8,274,645	436,950	330,928	53,371,869
დაგროვილი ცვეთა 31.12.2024	-	(4,627,505)	(3,668,527)	(1,585,374)	(219,885)	(157,056)	(10,258,348)
ნარჩენი ღირებულება 31.12.2024	142,281	23,414,623	12,476,409	6,689,271	217,065	173,872	43,113,521

5. აქტივის გამოყენების უფლება და საიჯარო ვალდებულება

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარდგენილი თანხები:

	31-დეკ-2024	31-დეკ-2023
გამოყენების უფლებით არსებული აქტივები:		
მიწა	7,092,822	7,529,304
სულ აქტივები	7,092,822	7,529,304
საიჯარო ვალდებულებები:		
მიმდინარე	141,721	125,986
გრძელვადიანი	9,235,106	8,984,622
სულ ვალდებულებები	9,376,827	9,110,608

შპს „კონდერნეტ ექსპრეს ინვესტმენტ გრუპი“-ს ფინანსური ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისთვის
(თანხები მოცემულია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

სრული შემოსავლის ანგარიშგებაში წარდგენილი ხარჯები:

	2024 წელი	2023 წელი
გამოყენების უფლებით არსებული აქტივების ცვეთა	436,481	436,481
საპროცენტო ხარჯი	692,013	675,358
სულ იჯარასთან დაკავშირებული ხარჯები	1,128,494	1,111,839

ფულადი ნაკადებისა და ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარდგენილი იჯარის ვალდებულებების მოძრაობა:

	2024 წელი	2023 წელი
1 იანვარი	9,110,608	9,270,726
ზრდა	-	-
გასვლა	-	-
საპროცენტო ხარჯი	692,013	675,358
პროცენტის გადახდა	(692,013)	(675,358)
ძირის გადახდა	(128,092)	(114,462)
კურსთაშორის სხვაობის ეფექტი	394,311	(45,656)
31 დეკემბერი	9,376,827	9,110,608

6. დეპოზიტი სესხების უზრუნველსაყოფად

	31-დეკ-2024	31-დეკ-2023
დეპოზიტი სესხის უზრუნველსაყოფად	-	3,446,097
Total	-	3,446,097

7. არამატერიალური აქტივები

კომპანიის არამატერიალური აქტივები შედგება, საბუღალტრო/საოპერაციო პროგრამებისგან და მათთან დაკავშირებული ლიცენზიებისგან. 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ნეტო საბალანსო ღირებულებამ შეადგინა 432,761 ლარი (2023 წელი 35,676 ლარი).

8. სასაქონლო მატერიალური ფასეულობები

	31-დეკ-2024	31-დეკ-2023
სამშენებლო მასალები	1,669,541	1,804,752
ტერმინალის ინვენტარი	56,294	71,433
ოფისის ინვენტარი	34	34
სხვა მარაგები	30,327	25,947
სულ	1,756,196	1,902,166

9. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	31-დეკ-2024	31-დეკ-2023
სავაჭრო მოთხოვნები	140,260	4,522,790
გადახდილი ავანსები	164,454	1,706,871
წინასწარ გადახდილი ხელფასი	-	201
საგადასახადო აქტივი	246,943	84,818
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	551,657	6,314,680

10. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

	31-დეკ-2024	31-დეკ-2023
ეროვნული ვალუტა ბანკში	159,417	313,282
უცხოური ვალუტა ბანკში	2,078,458	3,087,432
სულ ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	2,237,875	3,400,714

მპს „კონდერნეტ ექსპრეს ინვესტმენტ გრუპი“-ს ფინანსური ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისთვის
(თანხები მოცემულია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

11. სესხები

	31-დეკ-2024	31-დეკ-2023
გრძელვადიანი საბანკო სესხები	-	3,738,388
გრძელვადიანი საბანკო სესხის მოკლევადიანი ნაწილი	1,009,506	5,651,074
მოკლევადიანი საბანკო სესხები	-	-
გადასახდელი პროცენტები	5,887	56,094
დაკავშირებული მხარისგან მიღებული სესხები	-	-
სულ სესხები	1,015,393	9,445,556

საბანკო სესხები უზრუნველყოფილია ჯგუფის მატერიალური აქტივების ნაწილით, რომლებიც წლების მიხედვით ნაწილდება შემდეგნაირად

	31-დეკ-2024	31-დეკ-2023
დაუმთავრებელი მშენებლობა	142,281	142,281
შენობა-ნაგებობები	23,414,623	24,635,305
ტერმინალის არჭურვილობა	12,476,409	11,320,391
სატრანსპორტო საშუალებები	6,689,271	7,667,368
სხვა ძირითადი საშუალებები	217,065	238,541
სულ	42,939,649	44,003,886

ფულადი ნაკადებისა და ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარდგენილი საბანკო სესხების მოძრაობა:

	2024 წელი	2023 წელი
1 იანვარი	9,445,556	21,950,158
ზრდა	2,862,842	11,481,327
საპროცენტო ხარჯი	369,469	877,124
პროცენტის განულება	-	-
პროცენტის გადახდა	(417,229)	(824,661)
ძირის გადახდა	(10,958,044)	(23,922,184)
კურსთაშორის სხვაობის ეფექტი	(287,201)	(116,208)
31 დეკემბერი	1,015,393	9,445,556

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას აქვს მიღებული ორი სესხი სს საქართველოს ბანკისგან, საპროცენტო განაკვეთებია 6% და EURIBOR-ს დამატებული 6 %.

სესხის ხელშეკრულებით კომპანიის საკუთრებაში არსებული ყველა მოძრავი და სამომავლო ქონება და არამატერიალური აქტივები ბანკის სასარგებლოდ იპოთეკით არის დატვირთული. ასევე, კომპანიაში პარტნიორების საერთო წილები.

12. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	31-დეკ-2024	31-დეკ-2023
სავაჭრო ვალდებულებები	418,084	563,238
გადასახდელი ხელფასი	140,658	794,649
სხვა ვალდებულებები	-	-
საგადასახადო ვალდებულება	-	-
სულ	558,742	1,357,887

13. მიღებული ავანსები

მიღებული ავანსები წარმოადგენს, ძირითადი კლიენტის, კორპორაცია ტრამოსგან მიღებულ ავანსებს, მომსახურებასთან დაკავშირებით.

14. თანამშრომელთა სარგებელი

	2024 წელი	2023 წელი
ხელფასი	8,051,804	8,039,171
ბონუსი	1,845,681	1,588,272

შპს „კონდერნეტ ექსპრეს ინვესტმენტ გრუპი“-ს ფინანსური ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისთვის
(თანხები მოცემულია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

საპენსიო ხარჯი	204,710	166,617
საწვავის ხარჯი	76,774	132,885
დაზღვევის ხარჯი	141,338	121,086
კვების ხარჯი	243,038	255,042
სხვა	7,000	6,074
სულ	10,570,345	10,309,147

15. მომსახურების მიწოდებასთან დაკავშირებული სხვა ხარჯები

	2024 წელი	2023 წელი
ტვირთის გადაზიდვასთან დაკავშირებული პორტის საკომისიო	3,902,524	4,693,377
მონიტორინგის და დოკუმენტაციის მომზადების ხარჯი	780,513	938,376
სპეციალური მასალების ხარჯი	465,828	543,968
ტერმინალში ვაგონების ტრანსპორტირების ხარჯი	193,940	230,689
ნარჩენების ინსენერაციის ხარჯი	100,593	120,476
ტვირთის ოდენობის განსაზღვრის ხარჯი	52,923	71,736
იჯარის ხარჯი	6,418	57,958
საწვავის ხარჯი	46,907	46,202
სხვა ხარჯები	228,424	60,032
სულ	5,778,070	6,762,814

16. ოფისის და კომუნალური ხარჯები

	2024 წელი	2023 წელი
კომუნალური ხარჯები	316,178	350,341
ოფისის ხარჯი	85,898	31,109
დასუფთავების ხარჯი	17,090	14,090
კომუნიკაციის ხარჯი	18,477	11,256
სულ	437,643	406,796

17. ფინანსური შემოსავალი (ხარჯი)

	2024 წელი	2023 წელი
ბანკისგან დარიცხული საპროცენტო სარგებელი	(99,652)	(203,877)
იჯარის საპროცენტო ხარჯი	692,013	675,358
ბანკის სესხის საპროცენტო ხარჯი	369,469	844,806
გარანტიის საკომისიო	-	1,827
სესხის პროცენტი (დაკავშირებული მხარე)	-	30,491
სულ ფინანსური შემოსავალი (ხარჯი)	961,830	1,348,605

18. ფინანსური რისკის მართვა

ჯგუფში რისკების მართვა ხორციელდება ფინანსურ რისკებთან, საოპერაციო რისკებთან და სამართლებრივ რისკებთან დაკავშირებით. ფინანსური რისკი შეიცავს საბაზრო რისკს მათ შორის სავალუტო რისკს, საპროცენტო განაკვეთის რისკს და სხვა საფასო რისკს), საკრედიტო რისკს და ლიკვიდურობის რისკს. ფინანსური რისკის მართვის ძირითადი ამოცანებია რისკის შეზღუდვების დადგენა და შემდგომ იმის უზრუნველყოფა, რომ რისკის ფაქტორებისადმი დაქვემდებარება ამ შეზღუდვებს არ გასცდეს. საოპერაციო და სამართლებრივი რისკის ფაქტორების მართვის ფუნქციები განკუთვნილია შიდა პოლიტიკის და პროცედურების სათანადოდ ფუნქციონირების მიზნით, საოპერაციო და სამართლებრივი რისკების შესამცირებლად.

საკრედიტო რისკი. ჯგუფს აქვს საკრედიტო რისკი. ეს არის რისკი, როდესაც ფინანსური ინსტრუმენტის ერთი მხარე ვალდებულების შეუსრულებლობის შედეგად გამოიწვევს მეორე მხარის ფინანსურ ზარალს. ამგვარი საკრედიტო რისკი წარმოიქმნება კომპანიის მიერ კონტრაგენტებისათვის პროდუქციის კრედიტით მიყიდვისას და აგრეთვე სხვა ოპერაციების შემთხვევაში, რომელთა შედეგადაც წარმოიქმნება ფინანსური აქტივები.

შპს „კონდერნეტ ექსპრეს ინვესტმენტ გრუპი“-ს ფინანსური ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისთვის
(თანხები მოცემულია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

კომპანიის მაქსიმალური საკრედიტო რისკი აქტივების ჯგუფების მიხედვით:

	31-დეკ-2024	31-დეკ-2023
სავაჭრო დებიტორული დავალიანება (9)	140,260	4,522,790
საბანკო ნაშთები (10)	2,237,875	3,400,714
დეპოზიტი სესხების უზრუნველსაყოფად (6)	-	3,446,097
საკრედიტო რისკის მაქსიმუმი	2,378,135	11,369,601

აქტივებისა და ვალდებულებების ურთიერთგამოქვითვის ზეგავლენა პოტენციური საკრედიტო რისკის ფაქტორისადმი დაქვემდებარების შემცირების მიზნით, უმნიშვნელოა.

ჯგუფი მის მიერ აღებული საკრედიტო რისკების სტრუქტურირებას ახდენს კონტრაგენტების, ან კონტრაგენტების ჯგუფების მიმართ აღებული რისკისდ მოცულობაზე შეზღუდვების დადგენით. საკრედიტო რისკის შეზღუდვებს რეგულარულად ამტკიცებს ხელმძღვანელობა. ამგვარი რისკების მონიტორინგი განმეორებით ხდება და ექვემდებარება წლიურ, ან უფრო მეტი სიხშირით გადასინჯვას.

ჯგუფის ხელმძღვანელობა განიხილავს სავაჭრო დებიტორული დავალიანების ხანდაზმულობასა და წარსულში არსებულ ნაშთებს.

საბაზრო რისკი. ჯგუფი იღებს საბაზრო რისკებს. საბაზრო რისკები წარმოიქმნება ღია პოზიციების გამო: ა) უცხოურ ვალუტებში, ბ) პროცენტიან აქტივებსა და ვალდებულებებში, და დ) სააქციო კაპიტალის პროდუქტების მხრივ, რომელთაგან ყველა ექვემდებარება ზოგად და სპეციფიკურ საბაზრო ცვლილებებს. ხელმძღვანელობა განსაზღვრავს მისაღები რისკის მოცულობის შეზღუდვებს, რომლის მონიტორინგიც ხდება ყოველდღიურად. თუმცა, ამ მიდგომის გამოყენებით თავიდან არ იქნება აცილებული ის დანაკარგები, რომელიც ამ შეზღუდვების მიღმა იმ შემთხვევაში, თუ ადგილი ექნება უფრო მნიშვნელოვან საბაზრო ცვლილებებს.

ქვემოთ მოცემული საბაზრო რისკებისადმი მგძნობიარობა ეფუძნება ფაქტორში მომხდარ ცვლილებას, ხოლო სხვა ფაქტორები უცვლელად განიხილება. ნაკლები ალბათობა არსებობს, რომ ამას ადგილი ექნება პრაქტიკაში და ზოგიერთ ფაქტორში ცვლილებები შესაძლოა დაკავშირებული იქნეს, - მაგალითად, საპროცენტო განაკვეთსა და უცხოურ სავალუტო განაკვეთებში მომხდარ ცვლილებებთან.

სავალუტო რისკი. სავალუტო რისკთან დაკავშირებით, ხელმძღვანელობა განსაზღვრავს ამ რისკისადმი დაქვემდებარების შეზღუდვებს ვალუტის მიხედვით და მთლიანად. ამ მხრივ მდგომარეობის მონიტორინგი ხორციელდება ყოველთვიურად. ქვემოთ მოცემულ ცხრილში შეჯამებულია ჯგუფის უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის რისკები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს:

	31-დეკ-2024		31-დეკ-2023	
	აშშ დოლარი	აშშ დოლარი	აშშ დოლარი	ევრო
ფინანსური აქტივები:				
სავაჭრო დებიტორული დავალიანება	140,260	-	4,522,790	-
საბანკო ნაშთები	1,604,368	474,089	2,497,138	156,442
დეპოზიტი სესხების უზრუნველსაყოფად	-	-	-	7,629,238
სულ ფინანსური აქტივები	1,744,628	474,089	7,019,928	7,785,680
ფინანსური ვალდებულებები:				
სავაჭრო კრედიტორები	42,014	-	25,316	-
საიჯარო ვალდებულებები	9,376,827	-	9,110,608	-
სესხები	-	1,015,393	-	13,470,925
სულ ფინანსური ვალდებულებები	9,418,841	1,015,393	9,135,924	13,470,925
წმინდა სავალუტო პოზიცია	(7,674,213)	(541,304)	(2,115,996)	(5,685,245)

ზემოთ მოცემული ანალიზი მოიცავს მხოლოდ ფულად აქტივებსა და ვალდებულებებს. მიიჩნევენ, რომ ინვესტიციები საკუთარ კაპიტალსა და არაფულად აქტივებში არ წარმოშობს რაიმე მატერიალურ სავალუტო რისკს.

შემდეგ ცხრილში წარმოდგენილია მოგებისა და ზარალის და საკუთარი კაპიტალის მგრძნობელობა სავალუტო განაკვეთებში გონივრულად შესაძლო ცვლილების მიმართ, რომელიც გამოიყენება საანგარიშგებო პერიოდის დასასრულს კომპანიის შესაბამისი საწარმოს ფუნქციონალური ვალუტის მიმართ. ყველა სხვა ცვლადი უცვლელია:

მპს „კონდერნეტ ექსფრეს ინვესტმენტ გრუფი“-ს ფინანსური ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისთვის
(თანხები მოცემულია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

	31-დეკ-2024		31-დეკ-2023	
	გავლენა მოგება- ზარალზე	გავლენა კაპიტალზე	გავლენა, მოგება ზარალზე	გავლენა კაპიტალზე
აშშ დოლარის გამყარება 10%-ით	767,421	-	211,600	-
აშშ დოლარის დასუსტება 10%-ით	(767,421)	-	(211,600)	-
ევროს გამყარება 10%-ით	54,130	-	540,916	-
ევროს დასუსტება 10%-ით	(54,130)	-	(540,916)	-

ამ რისკის ფაქტორისადმი დაქვემდებარება გაანგარიშებულ იქნა მხოლოდ ფულადი ნაშთებისათვის იმ ვალუტებში, რომლებიც ჯგუფის შესაბამისი საწარმოს ვალუტას არ წარმოადგენს.

საპროცენტო განაკვეთის რისკი. ჯგუფი ექვემდებარება იმ ცვლილებების შედეგებს, რომელსაც ადგილი აქვს გავრცელებულ საბაზრო საპროცენტო განაკვეთებში მისი ფინანსური მდგომარეობისა და ფულადი ნაკადების მიმართ. ჯგუფის პროცენტის აქტივები მოიცავს ბანკის ვადას და ლიზინგის შედეგებს, მათი არსებობის შემთხვევაში.

ჯგუფის საპროცენტო განაკვეთის რისკი უმთავრესად განპირობებულია სესხით სარგებლობასთან. ფიქსირებული განაკვეთებით აღებული სესხების შედეგად კომპანია ექვემდებარება საპროცენტო განაკვეთის რეალური ღირებულების რისკს.

ჯგუფის არ გააჩნია ოფიციალური პოლიტიკა და პროცედურები საპროცენტო განაკვეთების რისკების სამართავად, რადგან ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ ეს რისკი უმნიშვნელოა ჯგუფის საქმიანობისათვის. თუმცა, ახალი სესხების გაცემის, ან სესხით სარგებლობის შემთხვევაში, ხელმძღვანელობა განსჯის ფიქსირებული განაკვეთი სჯობია ჯგუფისთვის გადახდის მოსალოდნელი პერიოდის გათვალისწინებით, თუ ცვლადი განაკვეთი.

ლიკვიდურობის რისკი. ლიკვიდურობის რისკის ისეთი რისკია, რომლის წინაშეც იურიდიული პირის დგება მაშინ, როდესაც მას გააჩნია სირთულეები ფინანსური ვალდებულებების შესრულებასთან დაკავშირებით. კომპანიას ყოველდღე უკავშირდება კომპანიის არსებული ფულადი სახსრების რესურსების შესახებ. კომპანიის ხელმძღვანელობა მონიტორინგს ახორციელებს კომპანიის ფულადი ნაკადების ყოველთვიურ პროგნოზებზე. კომპანია ესწრაფვის შეინარჩუნოს სტაბილური საფინანსო ბაზა, რომელიც უმთავრესად შედგება საოპერაციო ფულადი ნაკადებისა და მომხმარებელთა წინასწარი გადახდებისაგან.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში ნაჩვენებია 2024 წლის 31 დეკემბრისათვის არსებული ვალდებულებები კონტრაქტების მიხედვით დარჩენილი გადახდის ვადების მიხედვით. დაფარვის ვადების ცხრილში მოცემული თანხები არის კონტრაქტით გათვალისწინებული არადისკონტირებული ფულადი სახსრების ნაკადები. ამგვარი არადისკონტირებული ფულადი სახსრების ნაკადები განსხვავდება ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემული თანხებისაგან, რადგან ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშგებაში მოცემული თანხა ეფუძნება დისკონტირებული ფულადი სახსრების ნაკადებს.

უცხო ვალუტაში გადახდები გადაანგარიშებულია საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს არსებული სპოტ გაცვლითი კრუსის მიხედვით.

ფინანსური ვალდებულებების გადახდის ვადების ანალიზი შემდეგია:

31-დეკ-2024	სესხები	საიჯარო ვალდებულებები	სავაჭრო ვალდებულებები	სულ
3 თვეზე ნაკლები	1,009,506	210,510	418,084	1,638,100
3-დან 12 თვემდე	-	701,700	-	701,700
1-დან 5 წლამდე	-	4,210,200	-	4,210,200
5 წელზე მეტი	-	13,022,603	-	13,022,603
სულ	1,009,506	18,145,013	418,084	19,572,603
31-დეკ-2023	სესხები	საიჯარო ვალდებულებები	სავაჭრო ვალდებულებები	სულ
3 თვეზე ნაკლები	1,445,608	201,705	563,238	2,210,551
3-დან 12 თვემდე	4,336,825	672,350	-	5,009,175
1-დან 5 წლამდე	4,336,825	4,034,100	-	8,370,925
5 წელზე მეტი	-	13,351,962	-	13,351,962
სულ	10,119,258	18,260,117	563,238	28,942,613

კაპიტალის მართვა. ჯგუფის კაპიტალის მართვის ამოცანებია უზრუნველყოს ჯგუფის, როგორც ფუნქციონირებადი საწარმო, ფუნქციონირება, რათა აქციონერებმა მიიღონ უკუგება, ხოლო სხვა დაინტერესებულმა მხარეებმა – სარგებელი, და შენარჩუნდეს კაპიტალის ოპტიმალური სტრუქტურა, რათა შემცირდეს კაპიტალური ხარჯები. კაპიტალის სტრუქტურის შენარჩუნების, ან კორექტირების მიზნით, ჯგუფმა შესაძლოა მოახდინოს აქციონერებისათვის

**მპს „კონდერნეტ ექსპრეს ინვესტმენტ გრუპი“-ს ფინანსური ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისთვის
(თანხები მოცემულია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)**

გადასახდელი დივიდენდების ოდენობის კორექტირება, დაუბრუნოს აქციონერებს კაპიტალი, გამოუშვას ახალი აქციები, ან გაყიდოს აქტივები ვალის შესამცირებლად.

კომპანიის მიდგომა კაპიტალის მართვის მიმართ არ შეცვლილა მიმდინარე წლის განმავლობაში.

კომპანია არ ექვემდებარება გარეშე სუბიექტის მოთხოვნებს კაპიტალზე.

19. ფინანსური ინსტრუმენტების წარდგენა შეფასების კატეგორიების მიხედვით

შემდგომი შეფასების მიზნებისთვის ფინანსური აქტივები ოთხ კატეგორიად იყოფა: ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები (სასესხო ინსტრუმენტები); სხვა სრულ შემოსავალში ასახვით რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები კუმულატიური (დაგროვებითი) შემოსულობისა და ზარალის ხელახალი კლასიფიკაციით; რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, აღიარების შეწყვეტისას, კუმულატიური (დაგროვებითი) შემოსულობისა და ზარალის ხელახალი კლასიფიკაციის გარეშე; რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები მოგებასა და ზარალში ასახვით. ჯგუფის (და მშობელი კომპანიის) ყველა ფინანსურ აქტივი გაერთიანებულია ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივებში.

2018 წლის 1 იანვრამდე ფასს 9 დანერგვამდე - შეფასების მიზნით ბასს 39-ში, ფინანსური აქტივები: აღიარება და შეფასება, ფინანსური აქტივები კლასიფიცირებულია შემდეგ კატეგორიებად: (ა) სესხები და დებიტორული დავალიანება; (ბ) გასაყიდად არსებული ფინანსური აქტივები; (გ) დაფარვის ვადამდე ფლობილი ფინანსური აქტივები; და (დ) ფინანსური აქტივები რეალური ღირებულებით მოგების ან ზარალის კატეგორიის მიხედვით. რეალური ღირებულებით მოცემულ ფინანსურ აქტივებს, მოგების ან ზარალის კატეგორიის მიხედვით, გააჩნიათ ორი ქვეკატეგორია: (ი) ამგვარად კლასიფიცირებული აქტივები მათი საწყისი აღიარებისას და (იი) ისინი, რომელიც კლასიფიცირებულია, როგორც ვაჭრობისათვის გამიზნული. კომპანიას ყველა ფინანსური აქტივები კლასიფიცირებულია ქონდა სესხებად და დებიტორული დავალიანებად.

	31-დეკ-2024	31-დეკ-2023
ამორტიზირებული ღირებულებით აღრიცხული აქტივები		
- სავაჭრო დებიტორული დავალიანება (9)	140,260	4,522,790
- საბანკო ნაშთები მოთხოვნამდე (10)	2,237,875	3,400,714
- დეპოზიტი სესხის უზრუნველსაყოფად (6)	-	3,446,097
სულ ფინანსური აქტივები	2,378,135	11,369,601
ამორტიზირებული ღირებულებით აღრიცხული ვალდებულებები		
- ნასესხები საშუალებები (11)	1,015,393	9,445,556
- საიჯარო ვალდებულებები (5)	9,376,827	9,110,608
- სავაჭრო კრედიტორული დავალიანება (12)	418,084	563,238
სულ ფინანსური ვალდებულებები	10,810,304	19,119,402

20. ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულება

რეალური ღირებულება არის ის თანხა, რომლითაც ფინანსური ინსტრუმენტი შეიძლება გაიცვალოს გარიგების მსურველ მხარეებ შორის, გარდა იძულებული გაყიდვისა, ან ლიკვიდაციისა, და მისი საუკეთესო მტკიცებულებაა აქტიურ ბაზარზე კოტირებული ფასი.

აქტივები, რომელთა სამართლიანი ღირებულება უახლოვდება მათ საბალანსო ღირებულებას. როგორც წესი, იმ ფინანსური აქტივებისა (საბანკო ანგარიშები, მოკლევადიანი დებიტორული დავალიანება) და ვალდებულებების (მოკლევადიანი კრედიტორული დავალიანება) საბალანსო ღირებულება, რომლებიც არის ლიკვიდური, მოთხოვნამდე ან ხასიათდება მოკლევადიანობით (სამთვეზე ნაკლები), უახლოვდება მათ სამართლიან ღირებულებას.

ამორტიზებული ღირებულებით ასახული ვალდებულებები. სავარაუდო სამართლიანი ღირებულება განისაზღვრა მოსალოდნელი ფულადი სახსრების ნაკადების მიხედვით, რომელიც დისკონტირებულია მიმდინარე საპროცენტო განაკვეთების მეშვეობით, რომელთაც ანალოგიური საკრედიტო რისკი და დარჩენილი დაფარვის ვადა გააჩნია (მესამე დონის ამოსავალი მონაცემები ფასს 13 - რეალური ღირებულების შეფასება). მიღებული სესხები და სხვა ფინანსური დავალიანებების საბალანსო თანხები უახლოვდება რეალურ ღირებულებებს.

ამორტიზებული ღირებულებით ასახული ფინანსური აქტივები. ფიქსირებულ საპროცენტო განაკვეთებიანი ინსტრუმენტების შეფასებული ღირებულება ეფუძნება მომავალში სავარაუდო ფულადი სახსრების ნაკადებს, რომელთა მიღებაც მოსალოდნელია მიმდინარე საპროცენტო განაკვეთებით დისკონტირების მეშვეობით (მესამე დონის ამოსავალი მონაცემები ფასს 13 - რეალური ღირებულების შეფასება). მიმდინარე საპროცენტო განაკვეთები აღებულია იმ ახალი ინსტრუმენტებისგან, რომელთაც ანალოგიური საკრედიტო რისკი და დარჩენილი დაფარვის ვადა გააჩნია. გამოყენებული დისკონტირების განაკვეთები დამოკიდებულია კონტრაგენტის საკრედიტო რისკზე. გაცემული სესხები და სხვა ფინანსური დებიტორული დავალიანებების საბალანსო თანხები უახლოვდება რეალურ ღირებულებებს.

21. გაუთვალისწინებელი მოვლენები და ვალდებულებები

სამართლებრივი პროცედურები. პერიოდულად, საქმიანობის ჩვეულებრივი წარმოებისას, კომპანიის წინააღმდეგ შესაძლოა შეტანილ იქნეს სარჩელები. საკუთარი შეფასებებისა და როგორც შიდა, ასევე გარე პროფესიულ რჩევაზე დაყრდნობით, ხელმძღვანელობის მოსაზრებაა, რომ მნიშვნელოვანი ზარალი არ მიაღება კომპანიას სარჩელების გამო და ამდენად, წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის წარმოდგენილი შესაბამისი ანარიცხები.

საგადასახადო კანონმდებლობა. საქართველოს საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობა იძლევა სხვადასხვა ინტერპრეტაციის შესაძლებლობას და მასში ხშირად ხდება ცვლილებების შეტანა. კომპანიის მიერ განხორციელებულ ოპერაციებთან და საქმიანობასთან მიმართებით ხელმძღვანელობის მიერ გაკეთებულ კანონმდებლობის ინტერპრეტაციასთან დაკავშირებით შესაძლოა შეკითხვები გაუჩნდეთ შესაბამის უფლებამოსილ ორგანოებს. საქართველოს საგადასახადო ორგანოები შესაძლოა უფრო დამაჯერებელ და დახვეწილ მიდგომას იყენებენ კანონმდებლობის ინტერპრეტაციისას და საგადასახადო შემოწმებების დროს. ასევე შესაძლებელია, რომ იმ ოპერაციებისა და საქმიანობების მიმართ, რომელთა მიმართაც ადრე არ ჰქონიათ შეკითხვები, ახლა გაჩნდეს შეკითხვები. შედეგად, შესაძლოა განისაზღვროს დამატებითი გადასახადები, საურავები და საპროცენტო განაკვეთები.

გარემოსდაცვითი საკითხები. საქართველოში გარემოსდაცვითი საკითხების მარეგულირებელი კანონების განხორციელება ვითარდება და მუდმივად ხდება სახელმწიფო ორგანოების პოზიციის გადასინჯვა ამ ასპექტით. კომპანია პერიოდულად ახორციელებს მისი ვალდებულებების, რომლებიც გათვალისწინებულია გარემოსდაცვითი მარეგულირებელი წესებით, შეფასებას. ვალდებულებების დადგენისთანავე, დაუყოვნებლივ ხდება მათი აღიარება. პოტენციური ვალდებულებები, რომელიც შესაძლოა წარმოიშვას არსებული მარეგულირებელი წესების, სამოქალაქო დავების ან კანონმდებლობის შედეგად, შეუძლებელია შეფასდეს, მაგრამ ისინი შესაძლოა მნიშვნელოვანი იყოს. მოქმედი კანონმდებლობის ფარგლებში, აღსრულების გარემოს გათვალისწინებით, ხელმძღვანელობას მიჩნია, რომ არ არსებობს მნიშვნელოვანი ვალდებულებები გარემოსადმი მიყენებული ზიანის ასანაზღაურებლად.

22. ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

როგორც წესი, მხარეები დაკავშირებულ მხარეებად მიიჩნევა, თუ მხარეები საერთო კონტროლის ქვეშ არიან, ან თუ ერთ მხარეს გააჩნია მეორე მხარის კონტროლის, ან მასზე მნიშვნელოვანი გავლენის მოხდენის შესაძლებლობა, ან თუ არსებობს მესამე მხარეზე ერთობლივი კონტროლი ფინანსური და საოპერაციო გადაწყვეტილებების მიღების დროს. თითოეული შესაძლო დაკავშირებულ მხარესთან ურთიერთობის განხილვისას ყურადღება ექცევა ამ ურთიერთობის შინაარსს და არა უბრალოდ იურიდიულ ფორმას.

კომპანიის მფლობელია საქართველოს სახელმწიფო. სხვა სახელმწიფო კომპანიები და სამთავრობო დაწესებულებები კომპანიისთვის დაკავშირებული მხარეები არიან. კომპანია იყენებს ბასს 24-ის 25-ე პარაგრაფით განსაზღვრულ შეღავათს არ წარადგენს დაკავშირებულ მხარეებთან სახელმწიფო კომპანიებთან და სხვა სახელმწიფო სტრუქტურებთან ტრანზაქციებს და ბალანსებს.

კომპანიას დაკავშირებულ მხარეებთან ქონდა შემდეგი ოპერაციები და ნაშთები:

2024 წელი	მფლობელები	მენეჯმენტი
ნაშთები:		
სავაჭრო მოთხოვნები	69,011	-
მიღებული ავანსები	2,360,933	-
გადასახდელი ხელფასი	-	-
სესხები	-	70,449
ოპერაციები:		
შემოსავალი	40,065,163	-
საპროცენტო ხარჯი	-	-
ხელფასის, ბონუსის, საწვავის და მივლინების ხარჯი	-	601,138

**შპს „კონდერნეტ ექსპრეს ინვესტმენტ გრუპი“-ს ფინანსური ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისთვის
(თანხები მოცემულია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)**

2023 წელი	მფლობელები	მენეჯმენტი
ნაშთები:		
საკაპრო მოთხოვნები	4,520,095	-
მიღებული ავანსები	2,966,234	-
გადასახდელი ხელფასი	-	342,092
სესხები	-	-
 ოპერაციები:		
შემოსავალი	53,390,249	-
საპროცენტო ხარჯი	-	-
ხელფასის ხარჯი	-	2,513,570

23. ბალანსის შედგენის თარიღის შემდეგ მომხდარი მოვლენები

ფინანსური ანგარიშგება წარსადგენად დამტკიცებულია კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ 2025 წლის 22 მაისს. ხელმძღვანელობას უფლება აქვს, შეცვალოს ფინანსური ანგარიშგება გამოშვების შემდეგ.

[ფინანსური ანგარიშგების დასასრული]

**შპს „ვონდერნეტ ექსპრეს ინვესტმენტ გრუფი“
მმართველობის ანგარიში**

სარჩევი

შესავალი	iii
სტრატეგიული განვითარების გეგმა.....	iv
საოპერაციო უსაფრთხოების ზომები.....	iv
საკადრო პოლიტიკა.....	iv
ჯანდაცვის, უსაფრთხოების და დაცვის დეპარტამენტი.....	v
ობიექტის მართვა.....	v
ანტიკორუფციული პოლიტიკა	v
შრომის ანტი-დისკრიმინაციული პოლიტიკა.....	vi

შპს ვონდერნეტ ექსფერეს ინვესტმენტ გროუი (შემდეგში „კომპანია“) წარმოადგენს შუზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც დაფუძნებულია და საქმიანობას ეწევა საქართველოში. კომპანიის ოფისი დარეგისტრირებულია თბილისში ბესიკის ქ. #4, მაგრამ საქმიანობის ადგილს წარმოადგენს ქალაქ ბათუმის პორტი.

სტრატეგიული ადგილმდებარეობის მქონე ტერმინალი ერთერთი ყველაზე ინოვაციურია საქართველოში მშრალი, ნაყარი ტვირთის, კერძოდ, მინერალური სასუქის მიღება-განთავსება-გადაზიდვისათვის. კომპანია პრიორიტეტული რეჟიმით სარგებლობს ბათუმის საზღვაო პორტის მფლობელობასა და მართვაში არსებული მე-7 ნავსადგომის გამოყენებისას. მისი ჯამური სიგრძეა 263 მეტრი. ამჟამად ხსენებული ტერმინალი კავკასიაში საერთაშორისო ვაჭრობის ევროპულ კარიბჭედ მოიაზრება და იდეალური ადგილმდებარეობა გააჩნია იმისათვის, რომ ცენტრალური აზიის ვაჭრობის ცენტრად იქცეს სამომავლოდ.

კომპანიის მიერ მომხმარებლისთვის შეთავაზებული მთავარი მომსახურება გახლავთ მშრალი, ნაყარი ტვირთების მიღება-განთავსება და გადაზიდვა.

კომპანიის რეგისტრაციის თარიღია 2017 წლის 16 აგვისტო. 2021 წელს დასრულდა საწყობებისა და სატრანზიტო ტერმინალის მშენებლობა ბათუმის პორტის გრძელვადიანი ლიზინგით აღებულ ტერიტორიაზე და დაიწყო საოპერაციო საქმიანობა.

კომპანიის დამფუძნებლები არიან:

შპს ადია (საქართველო) _ 55%

შპს კოვალენტი (საქართველო) _ 15%

სს ტრამმო (აშშ) _ 30%

კომპანიის საწყობებსა და სატრანზიტო ტერმინალს უკავია 1,5 ჰა ფართობი. ტერიტორიაზე განთავსებულია სამი ნაყარი ტვირთის საწყობი საერთო მოცულობით 80,000 ტონამდე.

ტერმინალს გააჩნია კავკასიასა და ცენტრალურ აზიაში წამყვან კარიბჭედ ჩამოყალიბების ამბიცია, რომლის გასამყარებლად მუშაობს გაფართოვების პროექტის მიმართულებით. ამ გეგმის ფარგლებში მოიაზრება დამატებითი სასაწყობო მეურნეობების მშენებლობა თანამედროვე აპარატურა-დანადგარებითა და მოწინავე სტრუქტურით. გაფართოვების პროექტი მიზნად ისახავს როგორც ნაყარი, ისევე დაფასოებული ტვირთის მიღება-განთავსებასა და გადაზიდვებს. ამდენად, ტერმინალს გაუმჯობესებული მომსახურების შეთავაზების შესაძლებლობა ექნება მომხმარებლისადმი გაზრდილი შესაძლებლობების საფუძველზე, რაც მეტად სწრაფ მომსახურებას, გარდამტეხი ინფრასტრუქტურის და მიწოდების ჯაჭვის გაუმჯობესებას მოუტანს როგორც ტერმინალს, ისევე საქართველოს. ამასთანავე, ტერმინალში საშუალოდან გრძელვადიან პერიოდში დაგეგმილია მრავალ-მოდალური მომსახურების დანერგვა, რითაც მოხდება ყაზახეთის, უზბეკეთის და თურქმენეთის დაფარვა, რის შედეგად ტერმინალი გარდაიქმნება პოტენციურ ჰაბად, რადგან ცენტრალურ აზიასა და მსოფლიოს მრავალ ქვეყანას დააკავშირებს მშრალი, ნაყარი ტვირთებისა და მინერალური სასუქის გადაზიდვების ნაწილში.

სასაწყობო ტერმინალი წარმოადგენს მაღალი რისკების შემცველ ობიექტს და შესაბამისად განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მისი ფუნქციონირების უსაფრთხოებას. ტერმინალი აღჭურვილია თანამედროვე მაღალტექნოლოგიური დანადგარებით და პასუხობს უსაფრთხოების სტანდარტების მკაცრ მოთხოვნებს.

სტრატეგიული განვითარების გეგმა

უკანასკნელ წლებში შუა აზიაში წარმოებული სასუქების მსოფლიოში მზარდმა მოთხოვნამ განაპირობა სატერმინალო ბიზნესის განვითარების აუცილებლობა შავი ზღვის პორტებში. ამ მიზნით საფუძველი ჩაეყარა ქალაქ ბათუმში სასაწყობო ტერმინალის მშენებლობას. 2024 წლის დასაწყისში კომპანიის მენეჯმენტის მიზანი იყო წლიურად გადაზიდული ტვირთის მოცულობა ყოფილიყო 900 ათასი ტონა. მენეჯმენტის მიზანია გადაზიდული ტვირთების მოცულობა გაიზარდოს მის მაქსიმალურ მაჩვენებელამდე 1,5 მლნ ტონამდე წელიწადში.

კომპანიის საქმიანობის სპეციფიკურობიდან გამომდინარე კონკურენტების რაოდენობა შეზღუდულია. მათი საქმიანობის ძირითადი ლოკაცია ქალაქი ფოთია.

საოპერაციო უსაფრთხოების ზომები

კომპანია განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს გარემოს დაცვისა და შრომის უსაფრთხოების სფეროში არსებულ ადგილობრივ და საერთაშორისო კანონმდებლობასთან და სტანდარტებთან მიახლოებას. კომპანია დიდ ძალისხმევას შედეგად შექმნა მაქსიმალურად უსაფრთხო სამუშაო გარემო თანამშრომლების, კონტრაქტორების და ადგილობრივი მოსახლეობისათვის. კომპანიამ დაარსების დღიდან მიაღწია იმ შედეგს, რომ ყოფილიყო შესაბამისობაში გარემოს დაცვისა და შრომის უსაფრთხოების უმაღლესი საერთაშორისო სტანდარტებთან და გარემოზე ნეგატიური ზემოქმედება მინიმუმამდე დაეყვანა ოპერირების ყველა ასპექტში.

უსაფრთხოების ზომები მიღებულია შემდეგი მიმართულებებით:

1. **ხანძარსაწინააღმდეგო სისტემები** _ სისტემა შედგება სამი კომპონენტისაგან: ხანძრის საიდენტიფიკაციო, სასიგნალო შეტყობინებისა და ავტომატური ჩასაქრობის სისტემისაგან. ტერმინალის ტერიტორიაზე მუდმივ მზადყოფნაშია სახანძრო სამსახური, რომელიც მუდმივად აკონტროლებს ხანძარსაწინააღმდეგო სისტემის გამართულობას. სახანძრო სამსახური აღჭურვილია თანამედროვე ხანძარსაქრობი საშუალებებითა და ხელსაწყოებით. ავტომატური ხანძრის ჩასაქრობი სისტემა მუშაობს ავტომატურ რეჟიმში. სისტემა მუშაობს აგრეთვე დენის ჩაქრობის შემთხვევაშიც. ტერმინალს აქვს საკუთარი, დამოუკიდებელი აუზი უწყვეტი წყალმომარაგებისათვის. ხანძარსაწინააღმდეგო სისტემა სისტემატურად გადის გეგმიურ შემოწმებას, რათა ის მუდამ გამართულ მდგომარეობაში იყოს.
2. **ასპირაციის და დანამვის სისტემა** _ გადატვირთვის პროცესთან დაკავშირებული მტვრის ნაწილაკების გავრცელების შესაზღუდად კომპანიას დამონტაჟებული აქვს ასპირაციის და დანამვის სისტემები. აღნიშნული სისტემების ეფექტური ფუნქციონირების შედეგად მინიმუმამდეა დაყვანილი ატმოსფეროში მტვერის ნაწილაკების გავრცელება. აღნიშნული სისტემები ეფექტურად მუშაობს ტვირთის გადაზიდვის ყველა წერტილში და ერთობლიობაში ტერმინალის ფუნქციონირებას მაღალეფექტურს ხდის გარემოს დაცვის მოთხოვნებთან მიმართებაში.
3. **ვენტილაცია და გაზო-ანალიზატორი** _ მავნე გაზების დაგროვების იდენტიფიკაციისა და პრევენციისათვის საწყობების ტერიტორიაზე განთავსებულია ვენტილაციის და გაზო-ანალიზატორის სისტემები. ეს უკანასკნელი ახდენს საწყობების ტერიტორიაზე დაგროვილი მავნე გაზების იდენტიფიკაციასა და პრევენციას.

საკადრო პოლიტიკა

კომპანიის საქმიანობა დაკავშირებულია გაზრდილი რისკების ტვირთების გადაზიდვასთან. შესაბამისად, კომპანიას წარდგენილი აქვს უსაფრთხოების დაცვისა და ეკოლოგიაზე ზრუნვის მაღალი მოთხოვნები. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ კომპანია არამარტო შესაბამისობაშია აღნიშნულ მოთხოვნებთან, არამედ, დასაქმებულ თანამშრომლებს სთავაზობს მაქსიმალურად უსაფრთხო და კომფორტულ გარემოს. ტერმინალი და სასაწყობე შენობები აღჭურვილია მაღალტექნოლოგიური დანადგარებით, რომელიც განაპირობებს მაქსიმალურად უზრუნველყოფილ უსაფრთხოების გარანტიებს. კომპანიაში დასაქმებული თანამშრომლები პერიოდულად გადიან ტრენინგებს, რაც ამაღლებს მათ პროფესიონალურ გამოცდილებას და პარალელურად ზრდის ტერმინალის უსაფრთხო დანადგარების ხარისხს.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიაში დასაქმებულია 110 თანამშრომელი, რომელთაგან დასაქმებულ ქალთა რაოდენობაა 5. კომპანიის თანამშრომლები მუშაობენ სრული განაკვეთით და კომპანიის მხრიდან სხვადასხვა სარგებლისა და მხარდაჭერის პაკეტით სარგებლობენ (გარდა საქართველოს შრომის კოდექსით გათვალისწინებულისა), კერძოდ:

- თანამშრომლები სარგებლობენ ჯანმრთელობის დაზღვევით;
- საკომუნიკაციო მომსახურებით;
- საჭიროებიდან და გონივრულობიდან გამომდინარე, კომპანიამ შეიძლება დააფინანსოს სასწავლო კურსები, სემინარები და ტრენინგები

ჯანდაცვის, უსაფრთხოების და დაცვის დეპარტამენტი

ტერმინალის უსაფრთხოების სისტემა ეფექტურად და გამართულად მუშაობს 24/7 რეჟიმში ვიდეო მონიტორინგის სისტემასთან ერთად. მონიტორინგს ახორციელებს კომპანიის უსაფრთხოების სამსახური.

კომპანია რეგულარულად, წლის განმავლობაში რამდენჯერმე, აწარმოებს სამუშაო ადგილების ფიზიკური ფაქტორების გაზომვას იმ ტერიტორიაზე, სადაც დასაქმებულები არიან თანამშრომლები. გაზომვები და დადგენილ სტანდარტებთან შედარება ხორციელდება მიკროკლიმატზე, განათებაზე, ხმაურზე, ვიბრაციაზე და ა.შ.

ასევე, რეგულარულად, კვარტალურად ხორციელდება ეკოლოგიური მონიტორინგი ტერმინალის ექსპლუატაციის დროს მტვრისა და ხმაური გავრცელებასთან დაკავშირებით.

შრომის უსაფრთხოების სამსახური პერიოდულად ატარებს ტრენინგებს უსაფრთხო შრომის პირობების უზრუნველსაყოფად.

ობიექტის მართვა

კომპანიის მენეჯმენტი რეგულარულად ატარებს ობიექტისა და საინჟინრო მოწყობილობების ტექნიკურ ზედამხედველობასთან დაკავშირებულ სამუშაოებს. ყველა ელექტროსისტემა და აღჭურვილობა ექვემდებარება პერიოდულ ტესტირებასა და შემოწმებას, იმის უზრუნველსაყოფად, რომ ისინი შეესაბამებოდეს მოთხოვნილ სტანდარტებს, შესაბამის ტექნიკურ მახასიათებლებსა და მოთხოვნებს. წელიწადში ორჯერ, სახანძრო მოწყობილობების გამართულად მუშაობის შემოწმებასთან ერთად, ტერმინალში ტარდება პერსონალის ევაკუაციის სრულმასშტაბიანი ტრენინგები. ტერმინალი ყოველწლიურად მოწმდება საქართველოს სახელმწიფო სახანძრო უსაფრთხოების ინსპექციის მიერ. ჯანდაცვის, უსაფრთხოებისა და დაცვის დეპარტამენტი მუდმივად აუმჯობესებს უსაფრთხოების ზომებს, მარეგულირებელი უწყებების მოთხოვნებთან შესაბამისობის მიზნით. მოძრავი მანქანა-დანადგარები, ლენტური კონვეირი, ფრონტალური და გემის დამტვირთველი და სხვა დანადგარები გადიან რეგულარულ უსაფრთხო ფუნქციონირების სერტიფიკაციას. მოქმედი სტანდარტების შესაბამისად, ტერმინალი აღჭურვილია პირველადი ცეცხლმაქრი მოწყობილობებით. ტექნიკური დეპარტამენტის გეგმის მიხედვით ყოველწლიურად ხდება მომატებული საფრთხის შემცველი აღჭურვილობის შემოწმება, სერტიფიცირება და მაღალ დონეზე მომსახურება. კომპანია რეგულარულად ახორციელებს თანამშრომლების განმეორებით სამედიცინო შემოწმებას.

ანტიკორუფციული პოლიტიკა

კომპანია არა-ტოლერანტულია კორუფციული ქმედებების მიმართ. კომპანიის ინტერესებიდან გამომდინარე, დაუშვებელია ნებისმიერი ფორმის მქონე და ნებისმიერი სახით და ოდენობით გამოხატული კორუფციული ქმედება. კომპანიის ხელმძღვანელობა მკაცრად განიხილავს ნებისმიერი სახის ქმედებას ან ოპერაციას, რომელიც შესაძლოა მიჩნეულ იქნას როგორც საზიანო კომპანიის საქმიანობისა და იმიჯისათვის.

შრომის ანტი-დისკრიმინაციული პოლიტიკა

კომპანია გმობს და დაუშვებლად მიიჩნევს წინა-სახელმძღვრეულებო ურთიერთობაში და შრომით ურთიერთობაში ნებისმიერი სახის დისკრიმინაციას. დისკრიმინაციაში იგულისხმება განზრახ ან გაუფრთხილებლობით პირის განსხვავება ან გამორიცხვა ან მისთვის უპირატესობის მინიჭება რასის, კანის ფერის, ენის, ეთნიკური ან სოციალური კუთვნილების, ეროვნების, წარმოშობის, ქონებრივი ან წოდებრივი მდგომარეობის, შრომითი ხელმძღვრეულების სტატუსის, საცხოვრებელი ადგილის, ასაკის, სქესის, სექსუალური ორიენტაციის, შეზღუდული შესაძლებლობის, ჯანმრთელობის მდგომარეობის, რელიგიური, საზოგადოებრივი, პოლიტიკური ან სხვა გაერთიანებისადმი (მათ შორის, პროფესიული კავშირისადმი) კუთვნილების, ოჯახური მდგომარეობის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულების გამო ან სხვა ნიშნით, რომელიც მიზნად ისახავს ან იწვევს დასაქმებასა და პროფესიულ საქმიანობაში თანაბარი შესაძლებლობის ან მოპყრობის უარყოფას ან ხელყოფას.

შპს ვონდერნეტ ექსპრესს ინვესტმენტ გრუფის მმართველობის ანგარიში დამტკიცდა და გამოშვებულ იქნა 2025 წლის 22 მაისს:

თანამდებობა:
ფინანსური დირექტორი

სახელი:
ზურაბ გაჩეჩილაძე



თანამდებობა:
დირექტორი

სახელი:
მამუკა მურჩიკელი



შრომის ანტი-დისკრიმინაციული პოლიტიკა

კომპანია გმობს და დაუშვებლად მიიჩნევს წინა-სახელშეკრულებო ურთიერთობაში და შრომით ურთიერთობაში ნებისმიერი სახის დისკრიმინაციას. დისკრიმინაციაში იგულისხმება განზრახ ან გაუფრთხილებლობით პირის განსხვავება ან გამორიცხვა ან მისთვის უპირატესობის მინიჭება რასის, კანის ფერის, ენის, ეთნიკური ან სოციალური კუთვნილების, ეროვნების, წარმოშობის, ქონებრივი ან წოდებრივი მდგომარეობის, შრომითი ხელშეკრულების სტატუსის, საცხოვრებელი ადგილის, ასაკის, სქესის, სექსუალური ორიენტაციის, შეზღუდული შესაძლებლობის, ჯანმრთელობის მდგომარეობის, რელიგიური, საზოგადოებრივი, პოლიტიკური ან სხვა გაერთიანებისადმი (მათ შორის, პროფესიული კავშირისადმი) კუთვნილების, ოჯახური მდგომარეობის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულების გამო ან სხვა ნიშნით, რომელიც მიზნად ისახავს ან იწვევს დასაქმებასა და პროფესიულ საქმიანობაში თანაბარი შესაძლებლობის ან მოპყრობის უარყოფას ან ხელყოფას.

შპს ვონდერნეტ ექსპრეს ინვესტმენტ გრუფის მმართველობის ანგარიში დამტკიცდა და გამოშვებულ იქნა 2025 წლის 22 მაისს:

თანამდებობა:
ფინანსური დირექტორი

თანამდებობა:
დირექტორი

სახელი:
ზურაბ გაჩეჩილაძე

სახელი:
მამუკა მურჯიკნელი

